# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი 1998 №190 (725) ფასი 50 თეთრი


## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
პირველი მატჩები. 20 ოქტომბერი

UEFA CUP

ვისლა (პოლონეთი) — პარმა (იტალია) 1:1
0:1 კიეზა (3), 1:1 კულავიკი (68)

ლივერპული (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი) 0:0

დინამო (რუსეთი) — სოსიედადი (ესპანეთი) 2:3
0:1 კოვაჩევიჩი (3), 0:2, 0:3 დე პედრო (11, 34პ), 1:3, 2:3 ნეკრასოვი (72, 73)

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ლიონი (საფრანგეთი) 1:2
1:0 სკარიჩი (65პ), 1:1 გრასი (66), 1:2 კანუტე (85)

გრაცერი (ავსტრია) — მონაკო (საფრანგეთი) 3:3
0:1 სპეჰარი (18), 1:1, 2:1 აკუეგბუ (28, 57), 2:2 სპეჰარი (60), 2:3 ჟიული (78), 3:3 ემანი (90)

შტუტგარტი (გერმანია) — ბრიუგე (ბელგია) 1:1
1:0 აკპობორი (8), 1:1 ვერმანტი (70)

ტილბურგი (ჰოლანდია) — ბეტისი (ესპანეთი) 1:1
0:1 ალექსისი (85), 1:1 ბომბარდა (86)

გრასჰოპერი (შვეიცარია) — ფიორენტინა (იტალია) 0:2
0:1 ბატისტუტა (20), 0:2 რობიატი (48)

სელტა (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) 0:1
0:1 ჯოაკიმი (15)

სელტიკი (შოტლანდია) — ციურიხი (შვეიცარია) 1:1
1:0 ბრატბაკი (23), 1:1 ფიშერი (78)

ვერდერი (გერმანია) — მარსელი (საფრანგეთი) 1:1
0:1 მორისი (67), 1:1 ჰერცოგი (69)

ბოლონია (იტალია) — სლავია (ჩეხეთი) 2:1
1:0 სინიორი (51), 1:1 დოსტალეკი (67), 2:1 ინგესონი (84)

ვიტესი (ჰოლანდია) — ბორდო (საფრანგეთი) 0:1
0:1 ვილტორდი (44)

ცსკა (ბულგარეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) 2:4
0:1 ტორიზი (43), 0:2 კიკო (44), 1:2 გენჩევი (53), 1:3 ფრესნედოსო (73), 2:3 ნაიდენოვი (88), 2:4 კიკო (90)

რომა (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) 1:0
1:0 დელვეკიო (17)



REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — ვალენსია. რიდლემ და ფარინოსმა (მარცხნივ) ბევრი კი იბრძოლეს, მაგრამ მატჩი მაინც უგოლოდ დასრულდა

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | 1:1 | სვინდონი |
| ბოლტონი | 1:2 | უოტფორდი |
| ბერი | 1:0 | ოქსფორდი |
| კრ. პალასი | 3:2 | ვულვერჰემპტონი |
| გრიმსბი | 2:1 | ბრისტოლი |
| იფსვიჩი | 0:1 | ნორვიჩი |
| პორტ ვეილი | 1:0 | კრიუ |
| პორტსმუთი | 2:4 | ბრედფორდი |
| შეფილდ იუნ. | 1:1 | სტოკპორტი |
| ტრანმერი | 3:0 | ბარნსლი |

# არა არს და-ფარული?..



ვის აუნთებენ მწვანე შუქს პარასკევს ყრილობის დელეგატები?

თითქოს სპორტული პრესა ამას ყველაზე ნაკლებად ჩივის, მაგრამ ფაქტია, კანონი არც სპორტში კანონობს. არადა, სპორტიც ისეთივე სფეროა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, როგორიც სხვა რომელიმე.

სპორტი ქვეყნის დიდ ნაწილს მოიცავს — თავად ათლეტების, მწვრთნელების, ექიმმასაჟისტებისა თუ სხვა მომსახურე პერსონალის ჩათვლით.

სპორტსაც თავის წეს-კანონები აქვს და ამ სფეროში მოსაქმესაც მისი დაცვა უნდა ევალებოდეს. ასეა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში და იქაური სპორტის სიძლიერეც ადგილობრივი თუ საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვაშია.

წესი რომ დაიცვა, უნდა არსებობდეს, ზოგისთვის ჯერ წესია საქმე და მერეღა საქმე — საქმე. წესი შეიძლება ცხოვრებაში ისე გამოიყენებოდეს, დაწერილი ანუ დაკანონებული არსად იყოს. ეს უკვე ტრადიციაა, მაგრამ აღათამდე ყველა წეს-ჩვეულება როდი მაღლდება.

ჩვენებურ სპორტში, ქართულ ფეხბურთშიცაა ბევრი ისეთი წესი, მის დამცველს თუ დამრღვევს რომ ჰკითხო, ასე რის საფუძველზე იქცევიო, ვერ გიპასუხებს.

თქვა ერთმა, ამ სტადიონის გალიაში ფოტორეპორტიორს ნუ შეუშვებთო და ეძიე, მართლა უთქვამს თუ არა, არ გიშვებენ კია. რატომ, რისთვის, რის საფუძველზე, დანამდვილებით არავინ იცის.

ჩვენში ბევრი წეს-კანონთა დაცვას ბიუროკრატობაში ურევს. ბიუროკრატობაა მაგალითად ის, რომ ამა თუ იმ ფედერაციის ყრილობის დელეგატთა სიას, ყელკისერი თხოვნა-მუდარით რომ გამოიბღლვნა, არავინ გალირსებს. მაგრამ ეს ჩვენში ნორმაა. მავანთა „ჩვენს საქმეში“ უცხოს (მტერს) არავინ ჩაახედებს.

სამაგიეროდ, ზოგს ბიუროკრატობად ის ჩაუთვლია, ვთქვათ და, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატს ჯანმრთელობის ცნობა მოსთხოვოს. ამჟამინდელმა პრეზიდენტებმა გვაპატიონ და როცა ყრილობის ნებისმიერ მონაწილეს საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება ზედ ამ საფეხბურთო ფორუმზევე აქვს, ტრიბუნაზე ასული ფორმა №286-ის ფრიალს რომ ვერ დაიწყებს, წინასწარვე ცხადი უნდა იყოს. არადა, ჯანმრთელობის ცნობას ამერიკის პრეზიდენტობის მაძიებელს თხოვენ...

ჯანდაბას ჯანმრთელობის ცნობა, მით უმეტეს, რომ ყველა, ვინც ქართული ფეხბურთის პატრონობაზე პრეტენზიას აცხადებს, მგონი, ჯანზეა და არც საღ გონებასთანაა მწყრალად. ეს უბრალო მაგალითია, კანონის დაცვა როგორ უნდა. ამ საკითხს პრინციპულობას უფრო მორალური ნორმები სძენს.

გარდა მშრალი კანონებისა, არსებობს კიდევ დაუწერელი მორალური კოდექსი, რომლის თანახმადაც, ვთქვათ, სამართალში მიცემულს, რაგინდ მართალი იყოს, უდანაშაულობის პრეზუმპცია არ ათავისუფლებს წმინდა მორალური პასუხისმგებლობისგან. ასეთმა ზურგზე იმგვარი ტვირთი არ უნდა წამოიკიდოს, რომლისთვისაც საყრდენის გამოცლა ქვეყანას თუ არა, ამ ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს წააქცევს.

მოკლედ, კაცი ნამუსზეა შეგდებული. მორალი კი (მეტ-ნაკლებად საერთო) ყველას საკუთარი გააჩნია.

სიმართლეს თუ ვიტყვით, ამაზე მეტი ამორალობა ისაა, დღესაც რომ არავინ იცის დანამდვილებით, ფედერაციის პრეზიდენტს ღია კენჭისყრით აირჩევენ თუ ფარულით.

არადა, ძნელია, კაცს, სახეში რომ შესჩერებიხარ, სხვა ამჯობინო. ის კი, ამომრჩეველს რაიმე რომ ზღუდავს, უსამართლობაა და თავად არჩევნებსა თუ რჩეულს აუფასურებს.

ამბობენ, პროცედურულ საკითხებს ყრილობაზე ცალკე და ღიად ეყრება კენჭიო. ყრილობისვე დელეგატებმა უნდა გადაწყვიტონ, საპრეზიდენტო არჩევნები რა წესით უნდა ჩატარდეს.

მთავარია ის, ვისაც გულის კუნჭულში მაინც სურს არჩევანის თავისუფლება ჰქონდეს, აქ არ დაფრთხეს. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ ამით არ წყდება.

და თუ ისინი, ვინც ხალხს (საფეხბურთო სამყაროს) პარასკევისთვის რკინიგზელთა კლუბში წარმოუგზავნია, მაინც იმ გზას არჩევენ, რა გზითაც აქამდე უვლიათ, მოსალოდნელ სავალალო შედეგებზე პასუხისმგებელნი არჩეულზე ნაკლებად თავადვე არ უნდა იყვნენ.

ყველას ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებს. ამიტომ, პარასკევს ყველა დელეგატი ურნასთან იმ შეგნებით უნდა მივიდეს, რომ იგი ოთხს შორის ერთ-ერთს, ანაც საკუთარ ბედს კი არა, ქართული ფეხბურთის მომავალ ბედ-იღბალს წყვეტს. ქართული ფეხბურთი კი მის წიაღში უშუალოდ დასაქმებულ ათასობით ადამიანის გარდა, ქომაგთა დიდი არმიაა — ლამის მთელი ქვეყანა.

აქ ფეხბურთში მოსაქმე თითქმის ყველა გამორჩეული პიროვნებაა წარმოჩენილი. ბევრი ხალხისთვის ნაცნობია, ბევრიც უცნობი. ქართული ფეხბურთიც ეს ხალხია. დანარჩენთა წინაშე კი ანგარიშ-ვალდებულნი თუნდაც იმად არიან, რომ ნორმალურ პირობებში, ნორმალურ ქვეყანაში ფეხბურთში მოსაქმენი პურს, ცხადია, საკუთარი შრომითა და კიდევ ხალხის ფულით ჭამენ. ისინი გვაჩვენებენ იმას, რაშიც ფულს ვიხდით, და თუ ეს სანახაობა ნაღდი, სასიამოვნო და აზარტულია, შემოწირულობაც ალალია.

მაშ, საქმეს ისე ნუ გაიხდით ლუკმა სამადლო გქონდეთ და ყელზე დაგადგეთ! დაფიქრება და მეტი გამბედაობა გმართებთ.

ადრე თუ გვიან, თავს მაინც ყველა გაამხელს, ამიტომ სჯობს ეგზომ მნიშვნელოვანი არჩევანისას გულწრფელი იყოს.

ვახტანგ ბზიკაძე

იხილეთ მეორე გვერდი

## ბორჯღალოსნებმა ტულუზსაც ძლიეს

ფრანგული ტურნეს მესამე მატჩში ბორჯღალოსნები ევროპული რაგბის ერთ-ერთ ლიდერს „ტულუზს“ გაეჯიბრნენ.

მასპინძლებმა ძირითადი გუნდის ხუთ მოთამაშეს და ახლადშეძენილ ახალზელანდიელ მორაგბეს ახალგაზრდული გუნდის მოთამაშენი შემატეს და ჩვენებურებს ისე დაუპირისპირდნენ.

თავიდან ფრანგებმა იძალეს და 17:0 დაწინაურდნენ, მაგრამ მერე ცაბაძემ, ნადირაძემ, ნუგზარ ძაგნიძემ და ქავთარაშვილმა თითო ლელო გაიტანეს და საბოლოოდ მატჩიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

თავიანთ მონაგარს ცოტა ფრანგებმა შემატეს, მეტი ქართველებმა და 29:24 საქართველოს ნაკრებმა მოიგო.

## ჩხუბისთავები სკამზე დასვეს

გუშინ კალათბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე 16 ოქტომბრის ინცინდენტი განიხილეს.

პარასკევს საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩში „აზოტისა“ და სდასუ-ს კალათბურთელებმა მუშტი კრივი გამართეს.

ჩხუბისთავები რუსთაველი მიხეილ ბერუაშვილი და თბილისელი დიმიტრი ორჯონიკიძე ფედერაციამ ორ-ორი მატჩით ჩამოაცილა ჩემპიონატს. მათი გუნდები „აზოტი“ და სდასუ კი 200-200 ლარით დააჯარიმა. პირობითი დისკვალიფიკაცია აკმარეს აზოტელ ირაკლი ჯაფარიძეს და სტუდენტ გიორგი ჩხეიძეს.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის IV ყრილობაზე ჟურნალისტთა აკრედიტაცია გაიმართება 22 ოქტომბერს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში (რუსთაველის 42).

# ქართული ფეხბურთის მომავალს ესენი ირჩევენ

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობის დელეგატები

### სფფ-ს აღმასკომი

1 ა. ჩივაძე
2 დ. კვინიკაძე
3 ნ. ანდრიაძე
4 ვ. მახარაძე
5 გ. ქარქაშაძე
6 მ. ჟორდანია
7 შ. დევნოზაშვილი
8 ლ. მინდელი
9 ვ. დუმბაძე
10 თ. ბურჯანაძე
11 გ. ფილიპაშვილი
12 დ. ფრუიძე
13 ო. ჭითანავა
14 თ. ხოხობაია
15 გ. დუნდუა
16 გ. როსტომაშვილი
17 გ. დურგლიშვილი
18 ჯ. ცივაძე

### სხვადასხვა ორგანიზაციები

19 იუსტიციის სამინისტრო — ე. ჩარგაზია
20 გულშემატკივართა კლუბი „ქართლი“ — მ. ანდღულაძე
21 განათლების სამინისტრო — დ. ბერძენიშვილი
22 ვეტერანთა კავშირი — მ. ჯოჯუა
23 ვეტერანთა კავშირი — ი. დათუნაშვილი
24 ვეტერანთა კავშირი — ი. კურტანიძე
25 სპორტულ ჟურნალისტთა კავშირი — ე. ბერიშვილი
26 სპორტის დეპარტამენტი — კ. ასათიანი
27 სპორტის დეპარტამენტი — ა. აბესაძე
28 საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი — ე. ზენაიშვილი
29 გულშემატკივართა კლუბი „მუშტაიდი“ — ვ. კიკნაძე
30 „ფეხბურთი ბავშვებს“ — გ. ცაავა
31 ყრუმუნჯთა საზოგ. სპორტული ცენტრი — ნ. რეხვიაშვილი
32 სპორტის აკადემია — ო. გოგიაშვილი
33 სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრა — რ. ვაწაძე
34 საქ. ტელე-რადიო კორპორაცია (ტელევიზია) — დ. ქლიბაძე
35 საქ. ტელე-რადიო კორპორაცია (რადიო) — ა. ჯიბლაძე
36 „დინამოს“ დირექტორთა საბჭო — რ. თუშურაშვილი
37 „შევარდენი“ — ბ. გუგავა
38 „მართვე“ —
39 ასკ —
40 „ლოკომოტივი“ — მ. კაპანაძე
41 თბილისის დამმობილებულ ქალაქთა კლუბი „სარანგი“ —
42 საქ. პარლამენტის სპორტის ქვეკომისია — მ. მაჩაიძე

### რეგიონალური ფედერაციები

43 აჭარა — ნ. დიასამიძე
44 სამეგრელო — ჯ. გოგია
45 ქართლი —
46 ქვ. ქართლი —
47 იმერეთი —
48 კახეთი —
49 აფხაზეთი — მ. ანჯაფარიძე
50 მინი ფეხბ. ფედერაცია — მ. მახარაძე
51 ქალთა ფეხბ. ფედერაცია — ვ. ჟვანია
52 ინვალიდთა ფეხბ. ფედერაცია — ა. კოკაია
53 მსაჯთა კომიტეტი — კ. ყრუაშვილი

### ნაკრები გუნდები

54 ეროვნული ნაკრები — ვ. გუცაევი
55 21-წლამდე — გ. იმნაძე
56 18-წლამდე — ვ. კოპალეიშვილი
57 16-წლამდე — ო. შენგელია
58 14-წლამდე — თ. სულაქველიძე

### ადგილობრივი ფედერაციები

59 თბილისი — პ. მელქაძე
60 ქუთაისი — ა. წვერავა
61 ზუგდიდი — გ. შელია
62 ფოთი — ბ. ბარამია
63 რუსთავი — გ. ხევიაშვილი
64 სენაკი — ი. მილორავა
65 ხობი — ლ. ლემონჯავა
66 ჩხოროწყუ — მ. ვეკუა
67 მარტვილი — ე. გალდავა
68 წალენჯიხა — გ. ფიფია
69 ბათუმი — ლ. ადეიშვილი
70 ქობულეთი — ვ. გოგიტიძე
71 ხელვაჩაური — ზ. ხაბაძე
72 ხულო — ო. ანთაძე
73 ქედა — ნ. ბარამიძე
74 სოხუმი — ს. ფიფია
75 გაგრა — ს. გვასალია
76 გალი — ი. ბიბლაია
77 ოჩამჩირე — ა. დურსუნიში
78 სამტრედია — ვ. მსხილაძე
79 ვანი — თ. ძაგნიძე
80 ზესტაფონი — თ. მანჩხაშვილი
81 ტყიბული — ო. ლორთქიფანიძე
82 თერჯოლა — ი. ზარნაძე
83 ხონი — ბ. ხაჭაპურიძე
84 ჭიათურა — ზ. მოდებაძე
85 წყალტუბო — თ. ზვიადაძე
86 ლანჩხუთი — გ. ფირცხალაიშვილი
87 ოზურგეთი — ს. გაგუა
88 ჩოხატაური — ბ. თავბერიძე
89 ხაშური — თ. კეკუტია
90 გორი —
91 ქარელი — გ. ასკაროლლი
92 მცხეთა — ზ. უფლისაშვილი
93 დუშეთი — გ. პაპიაშვილი
94 გარდაბანი — ი. ტაბუცაძე
95 მარნეული — ი. ციხელაშვილი
96 ბოლნისი — მ. ჯაფარიძე
97 ყვარელი — ა. ლაფაჩიშვილი
98 თელავი — გ. მამაცაშვილი
99 ახმეტა — ნ. ფედოტოვი
100 ბორჯომი — ი. ოგანეზოვი
101 ტყვარჩელი — ნარმანია
102 გურჯაანი —
103 საგარეჯო —

### საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდები

#### I ჯგუფი

104 „დინამო“ — რ. შოთაძე
105 „ტორპედო“ — მ. ქუთათელაძე
106 „ტორპედო“ — გ. მერკვილაძე
107 „ბათუმი“ — თ. ბეჟანიძე
108 „კოლხეთი“ — ს. ფილია
109 „ოდიში“ — ს. ჭედია
110 „ოდიში“ — გ. ქარდავა
111 „ლოკომოტივი“ — ა. ჩხაიძე
112 „ლოკომოტივი“ — ტ. ლებერიძე
113 „მერანი“ — ნ. ნავაძე
114 „მერანი“ — ს. გაბელაია
115 თსუ — მ. კაპანაძე
116 თსუ — გ. დემეტრაძე
117 „დილა“ — კ. ახალკაცი
118 „ვიტ ჯორჯია“ — ს. კოტრიკაძე
119 „გორდა“ — გ. ჟვანია
120 „სამგურალი“ — გ. ქათამაძე
121 „სამგურალი“ — გ. დარსაძე
122 „სიონი“ — შ. დევნოზაშვილი
123 „გურია“ — გ. გოგუაძე
124 „გურია“ — ა. წილოსანი
125 „იბერია“ — ნ. ნიკოლაიშვილი
126 „არსენალი“ — მ. გეგეჭკორი
127 „არსენალი“ — ო. კორღალიძე

#### II ჯგუფი

128 „მალაროელი“ — გ. ჩიკვილაძე
129 „საირმე“ — ა. ხურციძე
130 „მარგვეთი“ — თ. ნიქაბაძე
131 „ჩიხურა“ — თ. ლაშხი
132 „მეშახტე“ — რ. ბოჭორიშვილი
133 „რიონი“ — მ. კვერნაძე
134 „სამგურალი 2“ — პ. გორდეზიანი
135 „გაგრა“ — ს. ჩოგოვაძე
136 „ოკეანე“ — მ. ძნელაძე
137 „ტორპედო 2“ — გ. კიკალეიშვილი
138 „სულორი“ — დ. პაიკიძე
139 „მერცხალი“ — ბ. გიორგაძე
140 „ბახმარო“ — ე. მრელაშვილი
141 „ფაზისი“ — რ. ოდიკაძე
142 „სქური“ —
143 „იბერია 2“ —
144 „რაჭა“ —
145 „კოლეჯი“ —
146 „ოდიში 2“ — ბ. შეროზია
147 „ენგური“ — ჯ. ახალაია
148 „სალხინო“ — მ. გაგუა
149 „სამეგრელო“ — ბ. უბირია
150 „კოლხეთი 2“ — ვ. ხაინდრავა
151 „ეგრისი“ — გ. ჩიქობავა
152 „შუქურა“ — თ. მჟავანაძე
153 „კოლხეთი“ ხობი — ზ. ქაჩიბაია
154 „ივერია“ — თ. ოსაძე
155 „მესხეთი“ — ლ. ლომიძე
156 სკ „იბერია“ —
157 „ცხუმი“ —
158 „ლოკომოტივი 2“ —
159 საუ — გ. ცხვარიაშვილი
160 „იბერია“ ქარელი — თ. კოპაძე
161 „ჟინერი“ — ა. კობაიძე
162 „დილა 2“ —
163 „განთიადი“ —
164 „ვარძია“ —
165 „დინამო 2“ — მ. ხურცილავა
166 „ცხინვალი“ — ზ. ნასუაშვილი
167 „თორი“ — ო. ჩხეიძე
168 „აკადემია“ — შ. გორგოძე
169 „მრეტები“ — ი. ქავთარაძე
170 „არსენალი 2“ —
171 „კახეთი“ —
172 „ყვარელი“ — ე. სანადირაძე
173 „ჭაბუკიანი“ — რ. ბერუაშვილი
174 „დინამო 3“ —
175 „ზოოვეტი“ — ე. გუგუშვილი
176 „ალგეთი“ —
177 „ხალიბი“ — ა. ლობჟანიძე
178 „უნივერსიტეტი იბერია“ —
179 „ქანაკგო“ —
180 „ალაზანი“ —
181 „ლარწყალი“ —
182 „სამგორი“ — მ. ბერიაშვილი

### საფეხბურთო სკოლები

183 „ნორჩი დინამოელი“ — ო.გეგეჭკორი
184 35-ე სკოლა — ა. თურქია
185 „ავაზა“ — მ. მესხი
186 „შევარდენი 1906“ — მ. გულაშვილი
187 „შევარდენი“ პროფკავშირები — თ. კუბლაშვილი
188 „ლოკომოტივი“ — გ. აბაშიძე
189 „მთვარის გლობუსი“ — გ. მაისურაძე
190 „ვაკე-91“ — კ. დოლიძე
191 „კავკასიონი“ — გ. ჩიხრაძე
192 „მერანი“ — დ. ეჯიბიშვილი
193 „ოლიმპიკი“ — კ. მჭედლიძე
194 „21-ე საუკუნე“ —
195 „მართვე“ — მ. ანთიძე
196 „სიხარული-93“ — დ. ჭოფოძე
197 „ბათუმი“ — ა. ბალაძე
198 „განათლება“ ბათუმი — გ. ჯორბენაძე
199 „შევარდენი“ ბათუმი — ლ. ვერულიძე
200 „იმედი“ ქობულეთი — ნ. გოგიტიძე
201 „დილა“ —
202 „ორბი“ გორი — გ. რევაზიშვილი
203 „დუშეთი“ — თ. ნამგალაური
204 „ხაშური“ — გ. ლამბაშიძე
205 ზესტაფონი — გ. საყვარელიძე
206 სამტრედია — ლ. გეგეშიძე
207 „იმედი“ ქუთაისი —
208 „ტორპედო“ ქუთაისი — თ. კოხრეიძე
209 „განათლება“ ქუთაისი — ლ. ჯანელიძე
210 ჩხოროწყუ — ე. ციმაკურიძე
211 ყვარელი — მ. ბეუქლიშვილი
212 „ბასა“ ოზურგეთი — ი. ჩხაიძე
213 „ფინტი“ ოზურგეთი — თ. გაგუა
214 გაგრა — პ. კოპალიანი
215 წყალტუბო — რ. ჭუმბურიძე
216 „იმედი-98“ ქარელი —
217 ჭიათურა — ა. სევასტოპულო
218 ჩოხატაური — გ. ჩანტლაძე
219 ზუგდიდი —
220 „ოდიში“ ზუგდიდი — გ. ნაჭყებია
221 „ლაზიკა“ ზუგდიდი — გ. კანკია
222 „ენგური“ ჯვარი —
223 „ინტერნატი“ ხობი — ლ. ნოდია
224 რუსთავი — მ. ჩაჩავა
225 „მერცხალი“ რუსთავი — ი. კენკიშვილი
226 „სამცხე“ აწყური —
227 ახალციხე —
228 საჩხერე — ე. მიქაძე
229 „მამისონი“ ონი — გ. მეტრეველი
230 „ახტალა“ —
231 ვანი — თ. ლორთქიფანიძე
232 ტყიბული — გ. ქარქაშაძე
233 თელავი — გ. ბურდული
234 „გურია“ ლანჩხუთი — ლექსაია
235 ბოლნისი — ტ. ჭაველაშვილი
236 „კოლხეთი 1913“ ფოთი — მ. ჩილაჩავა
237 „განათლება“ ფოთი — ა. ლომინაშვილი
238 თერჯოლა — ლ. ქავთარაძე
239 კასპი — დ. ყობაური
240 „შავნაბადა“ თელეთი — გ. გუხულიშვილი
241 „შევარდენი“ გორი — ა. ხოხობაშვილი
242 „ლომა“ — ა. შოთაძე
243 სენაკი — ა. დანელია
244 „განათლება“ ოზურგეთი — ო. თავბერიძე
245 მარტვილი — მ. ხელაია
246 სართიჭალა — მ. ჭიკაიძე

*რამდენიმე კანდიდატის ვინაობა დასაზუსტებელია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის დასაწყისიდან გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების ყურადღება მთლიანად საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებისკენ იყო მიპყრობილი. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გაგვიმართლდა და ეს დღეები დიდხანს მწარე მოგონებად და მოუშორებელ ლაქად გაგვყვება. ეროვნული გუნდის ფიასკოს ფონზე დიდ წარმატებად გამოჩნდა ჩვენი თვრამეტწლამდელების გამარჯვება უნგრეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ ეტაპზე.

არადა, მთავარი აწი იწყება — ქართველ ჭაბუკებს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის ჩეხებთან მიმოსვლით მოუწევთ ბრძოლა. მანამდე კი, ვახტანგ კოპალეიშვილი აგერ უკვე სამი წელია, წყნარად, მონდომებით, მუხლჩაუხრელად აკეთებს თავის საქმეს და შედეგიც სახეზეა — ჩვენს ჭაბუკებს ერთი ნაბიჯი დარჩათ კონტინენტის პირველობამდე.

მაშინ, როდესაც ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ლატვიურმა და ბერძნულმა ტურმა ჩვენი პირობებისთვის კოლოსალური თანხები მოითხოვა, კოპალას ბიჭები ავტობუსით დაადგნენ ბუდაპეშტის გზას და სამდღიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ სამ დღეში ორი შეხვედრა ჩაატარეს, სასურველ შედეგსაც მიაღწიეს და მშვიდად, უხმაუროდ დაბრუნდნენ სამშობლოში. აგერ, ბატონო, შეგვძლებია თურმე ისე გარჯა, როგორც საჭიროა...

# ჭაბუკების ბედისწერა ავტობუსით დადის

**— ბატონო ვახტანგ, უნგრეთში გამარჯვებით სერიოზული განაცხადი გააკეთეთ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად.**

— ყოველივე მართლაც კარგად დამთავრდა. რა თქმა უნდა, ბუდაპეშტში წარმატების იმედით წავედით. თავის ქებად არ ჩამითვალოთ, მაგრამ ის დიდი სამუშაო, რომელიც აქამდე ჩავატარეთ, ჯეროვნად დაგვიფასდა. შედეგით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. არადა, საკმაოდ ძლიერ ქვეჯგუფში მოვხვდით, მასპინძლებთან და ბულგარელებთან ერთად. ჩვენგან განსხვავებით, ორივე ქვეყნის ამ ასაკის ნაკრები უკვე კარგა ხანია, არსებობს და თავის დროზე გარკვეული წარმატებებისთვისაც მიუღწევია.

**— ქვეჯგუფში პირველი შეხვედრა ბულგარელებთან ჩაატარეთ.**

— მანამდე ბულგარელებმა უნგრელებთან ითამაშეს. ეს მატჩი ვნახე, ჩვენმა პირველმა მეტოქემ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გამართული ფეხბურთი ითამაშა. როგორც იცით, შეხვედრა ფრედ 1:1 დამთავრდა და საერთო ჯამში წარმატების მოსაპოვებლად ბულგარელებს ჩვენთან მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს.

ჩვენი მატჩი, მოკლედ რომ ვთქვა, ქართული სულის გამოვლინება იყო. ჩვენმა ჭაბუკებმა თავი არ დაზოგეს და მეტოქეს არანაირი შანსი დაუტოვეს. მართალია, მინიმალური სხვაობით (2:1) მოვიგეთ, მაგრამ ადვილად შეგვეძლო, დიდი ანგარიშითაც გაგვემარჯვა. თუმცა, რისკზე არ წავედით, რადგან ორი დღის შემდეგ მასპინძლებთან გვიწევდა თამაში და მდგომარეობა აღარ გავამწვავეთ.

ამ მატჩში თავისი საუკეთესო თვისებებით წარმოაჩინდა ლაშა ჯაკობია. იგი თითოეული შეტევის სულისჩამდგმელი იყო და ისედაც საბრძოლოდ შემართული გუნდი კიდევ უფრო შეკრა, თანაც მეორე ნახევარში, ფაქტობრივად, ანკესზე წამოაგო ბულგარელი მცველი და ამ უკანასკნელს ყოველივე წითელ ბარათად დაუჯდა.

**— მასპინძლებთან შეხვედრაში ფრეც გყოფნიდათ.**

— აი, უნგრელებისგან კი მეტ წინააღმდეგობას ველოდით. მათ გოლის გატანის არანაირი შანსი ჰქონიათ. ჩვენი კარის მიმართულებით პრაქტიკულად ერთხელ დაარტყეს. ამის მიზეზი კი ისევ და ისევ ჩვენი ჭაბუკების კარგი თამაში იყო. საოცრად თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ და ყველა კომპონენტში სჯობდნენ მეტოქეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიზიკური მომზადებითაც ერთი თავით მაღლა ვიდექით უნგრელებზე.

**— ამგვარ ტურნირებში მსაჯები მასპინძლების მიმართ გამორჩეული სიმპათიით არიან გამსჭვალულნი.**

— რა თქმა უნდა. მსგავსი შემთხვევის დიდი გამოცდილებაც გვაქვს. გამონაკლისი არც უნგრეთში ყოფილა. მასპინძლებთან შეხვედრაში მსაჯმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, თუმცა მერე, ჩვენი ნაკრების ფაქტობრივად უშეცდომო თამაშის შემხედვარე, ისიც „გატყდა“. ისე, ბოლოს, შეხვედრას შვიდი წუთი დაამატა, მაგრამ მასპინძლები იმ დღეს გოლის გამტანნი არ იყვნენ.

**— თუ გუნდში ერთსულოვნება არ სუფევს, წარმატებებზე ფიქრი ზედმეტია. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ფაქტს დღეს ვერსად წავუვალთ.**

— მივიხვდით, საითაც უმიზნებთ... ამ მხრივ პრობლემები ნამდვილად არ შეგვქმნია. ჯერ ერთი, ჩემს გვერდით კარგი სპეციალისტები მუშაობენ. თენგიზ კაცია და კოტე დოლიძე მართლაც ღირსეული პიროვნებები არიან და დიდ სამუშაოსაც ასრულებენ. მეორე კი ის არის, რომ მართლაც მშვენიერი თაობა გვყავს. ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს გათვითცნობიერებული აქვს თავისი მდგომარეობა და ყველა უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. შესაბამისად, დისციპლინაც მაღალ დონეზეა, სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ბიჭებს. მჯერა, ქართულ ფეხბურთს მათი სახით ღირსეული მომავალი ეზრდება.



ვახტანგ კოპალეიშვილს ჩვენი ჭაბუკების ბედი ტყუილად როდი ანდეს

**— საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ეტაპი კი დაძლიეთ, მაგრამ წინ ორრაუნდიანი ბრძოლა გელით ჩეხეთის ნაკრებთან.**

— ჩეხები მეთერთმეტე ჯგუფში ასპარეზობდნენ სომხეთთან და უკრაინასთან ერთად. თამაშები პრაღაში გაიმართა, თუმცა მასპინძლებს ძალიან გაუჭირდათ ჯგუფში გამარჯვება. ბოლო შეხვედრა მათ უკრაინელებთან ჩაატარეს. სტუმრებს ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ ჩეხებს ალმავლობით უთამაშიათ და 2:1 გაუმარჯვიათ. მეტოქეზე ბევრი არაფერი ვიცით, თუ არ ჩავთვლით უნგრელთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. უნგრელებს ამასწინათ ჩეხებთან ამხანაგურად უთამაშიათ და მათმა მწვრთნელმაც დიდსულოვნად გამიზიარა თავისი აზრი ამ ნაკრებზე. ისე, თქვენი დიდი იმედიც მაქვს, ასეთ დროს ჟურნალისტებს არაერთხელ გამოგიწვდიათ დახმარების ხელი. არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ ჩეხეთთან წარმატების შემთხვევაში დიდ საქმეს გავაკეთებთ. ჯერ ერთი, ევროპის ჩემპიონატზე გავალწევთ, სადაც რვა გუნდი იასპარეზებს, იქ გამარჯვებული კი მომდევნო ოთხთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს.

**— ჩეხებთან როდის ითამაშებთ?**

— ამას უეფა გადაწყვეტს ორივე ნაკრებთან შეთანხმებით. ვფიქრობ, ეს მატჩები გაისად, მარტში ჩატარდება. ისე, ადრეც შეგვიძლია ვითამაშოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენს ჭაბუკებს დასვენება სჭირდებათ, გუნდი გადაღლილია. თანაც ვიმედოვნებ, თებერვალში ნაყოფიერ შეკრებას გაგვიხერხებენ, რათა ჩეხებთან ორრაუნდიან შეხვედრას მაქსიმალურად მობილიზებული შევხვდეთ.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ უნგრეთში მოპოვებული წარმატების გამეორებას?**

— გპირდებით, რომ რაც გუნდის ხელმძღვანელებს გვევალება, ყველაფერს მაღალ დონეზე შევასრულებთ. ფეხბურთელების იმედიც მაქვს, მჯერა, ისინი მუდამ გვერდში დამიდგებიან, თუმცა, ვფიქრობ, ეს საქმეს არ უშველის. ფედერაციის დახმარება გვჭირდება. კარგად გემახსოვრებათ, თითქმის უპატრონო გუნდით შევძელით ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე გამარჯვება. კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს. წარმატებები შემთხვევით არ მიიღწევა. სერიოზული ყურადღებისა და თანადგომის გარეშე არაფერი გამოვა. მართალია, ფეხბურთის ფედერაცია შეძლებისდაგვარად გვეხმარება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

**— არჩევნები კარს მოგვადგა, მალე ფედერაციის მორიგი ყრილობა გაიმართება...**

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გახდება სფფ-ს პრეზიდენტი. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, ქართული ფეხბურთის დიდი ტრადიციები ხელაღებით არ უნდა გავწიროთ. საჭიროა ძირეული გარდაქმნები და სწორი მიმართულების პოვნა. მჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ. ფეხბურთი ხომ ქართველ კაცს შესისხლხორცებული აქვს და მას ვერაფერი ჩაკლავს.

ბაატა ძგანტალიანი

## 8 ტური — მეორე ჯგუფი

### დასავლეთი, „ა“ ქვეჯგუფი

16 ოქტომბერი

**საირმე 0:1 სამგურალი 2**
0:1 გოლეთიანი (62)
გაძევება: ეხვაია (73, საირმე), სანდუხაძე (73, სამგურალი 2)
მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**რიონი 1:2 ოკეანე**
1:0 გედენიძე (35), 1:1 ხელაძე (49), 1:2 ჯულაყიძე (57)
გაფრთხილება: ალფაიძე (რიონი), შეგენეიშვილი, თავაძე, ჯულაყიძე (ყველა ოკეანე)
მსაჯი: ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

**ჩიხურა 3:0 იბერია 2**
1:0 კერესელიძე (28), 1:0 ჭიღლაძე (54), 3:0 ხარაიშვილი (68)
გაფრთხილება: რ. ცომაია (იბერია 2)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**მეშახტე 2:0 ტორპედო 2**
1:0 ლომთაძე (27), 2:0 დიმიტრი ჯანელიძე (61)
მსაჯი: ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

17 ოქტომბერი

**მაღაროელი 2:3 რაჭა**
1:0 ლოლაძე (50), 1:1 მეტონიძე (59), 2:1 ლოლაძე (79), 2:2 ჩიტალაძე (86), 2:3 ჯმუხაძე (87)
გაფრთხილება: ტეფნაძე, ლოლაძე (ორივე მაღაროელი), შარაბიძე, ონაშვილი (ორივე რაჭა)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**მარგვეთი 2:2 სულორი**
0:1 ბუხაიძე (24), 1:1 გაბრიჭიძე (77), 2:1 ლონლაძე (79), 2:2 ბელთაძე (88)
გაფრთხილება: მალაღურაძე (მარგვეთი), მიქელთაძე, ორმოცაძე, დვალიშვილი, ბუხაიძე (ყველა სულორი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 8 | 7 | 1 | 0 | 24:7 | 22 |
| მარგვეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 22:8 | 17 |
| მეშახტე | 6 | 5 | 0 | 1 | 14:6 | 15 |
| გაგრა | 7 | 5 | 0 | 2 | 17:8 | 15 |
| ოკეანე | 8 | 5 | 0 | 3 | 7:8 | 15 |
| სამგურალი 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:8 | 13 |
| რაჭა | 8 | 3 | 0 | 5 | 12:13 | 9 |
| საირმე | 7 | 2 | 1 | 4 | 3:8 | 7 |
| ტორპედო 2 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| ჩიხურა | 7 | 2 | 0 | 5 | 8:20 | 6 |
| რიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| მაღაროელი | 7 | 1 | 2 | 4 | 12:19 | 2 |
| იბერია 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 5:21 | 1 |

*„მაღაროელს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ცენტრი

16 ოქტომბერი

**მესხეთი 4:0 ქინერი**
1:0 პ. გოგოლაძე (19), 2:0 სუდაძე (39), 3:0 წიქარიშვილი (42), 4:0 ბერძენიშვილი (49)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**საუ 2:2 თორი**
1:0 თალაკვაძე (5), 1:1 ზარდანია (30), 2:1 ალანია (44), 2:2 ციცქიშვილი (80)
გაფრთხილება: შონია (საუ), პ. ნოზაძე, ელისაშვილი (ორივე თორი)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**ივერია 6:1 დინამო 2**
1:0 ხმალაძე (1), 1:1 ლ. ბურდული (3), 2:1 ყაჩლავაშვილი (57), 3:1 ბაბულაიძე (59), 4:1, 5:1, 6:1 ვ. ყიზილაშვილი (63, 75, 81)
გაფრთხილება: ნეკერაშვილი, ვეშაპიძე (ორივე ივერია)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**იბერია 3:0 ვარძია**
1:0 ბარათაშვილი (20), 2:0, 3:0 კორძაძე (28, 44)
გაფრთხილება: ალავიძე, კუპატაძე (ორივე იბერია)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ლოკომოტივი 2 3:0 დილა 2**
1:0 ძოძუაშვილი (49), 2:0 მორჩილაძე (75), 3:0 ძოძუაშვილი (80)
გაფრთხილება: ბ. ჩიტაია (დილა 2)
გაძევება: გოჩაშვილი (41, დილა 2)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ქარელი 1:0 ცხინვალი**
1:0 მწყერაშვილი (15)
გაფრთხილება: ხახიშვილი (ქარელი), შ. ცხადაძე (ცხინვალი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

18 ოქტომბერი

**ცხუმი 1:0 განთიადი**
1:0 ოდიშარია (77)
გაფრთხილება: გოგუა, არეშიძე (ორივე ცხუმი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 8 | 7 | 0 | 1 | 27:9 | 21 |
| ლოკომოტივი 2 | 8 | 6 | 0 | 2 | 20:11 | 18 |
| ივერია | 8 | 5 | 2 | 1 | 22:7 | 17 |
| ქარელი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:6 | 16 |
| განთიადი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:12 | 14 |
| ცხინვალი | 8 | 5 | 1 | 2 | 21:8 | 13 |
| თორი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:14 | 10 |
| ცხუმი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| იბერია | 8 | 3 | 1 | 4 | 15:22 | 10 |
| საუ | 8 | 2 | 3 | 3 | 13:15 | 9 |
| მესხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 14:18 | 7 |
| დილა 2 | 8 | 1 | 2 | 5 | 13:20 | 5 |
| ქინერი | 8 | 1 | 1 | 6 | 9:33 | 4 |
| ვარძია | 8 | 0 | 2 | 6 | 7:25 | 2 |

*„ცხინვალს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

### დასავლეთი, „ბ“ ქვეჯგუფი

16 ოქტომბერი

**კოლეჯი 3:1 სალხინო**
1:0, 2:0, 3:0 დარჩიძე (22, 34, 43), 3:1 ძაგანია (60)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

**ბახმარო 2:0 კოლხეთი 2**
1:0 უჯმაჯურიძე (16), 2:0 გურგენიძე (90)
გაფრთხილება: სიხარულიძე (ბახმარო)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**სქური 4:3 ენგური**
1:0, 2:0 ჩხეტია (9, 12), 2:1 ვახანია (43), 2:2 ჯურხაძე (50), 2:3 ვახანია (57), 3:3, 4:3 აბრალავა (80, 90)
გაფრთხილება: როგავა, ჩალიგავა (ორივე სქური), მ. კვარაცხელია (ენგური)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

17 ოქტომბერი

**კოლხეთი 7:1 შუქურა**
1:0 ბუკია (13), 2:0 დ. დანელია (30), 3:0 ბუკია (32), 4:0 ხურცილავა (55), 4:1 წოწონავა (59), 5:1 დ. დანელია (65), 6:1 ხურცილავა (70), 7:1 ჭიჭინაძე (82)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**მერცხალი 1:1 ეგრისი**
0:1 ჯღარკავა (25), 1:1 ჩიგოგიძე (81)
გაფრთხილება: ზ. ჭელიძე (მერცხალი), ხვიჩია, გ. მიქავა, ვახანია, ჯღარკავა, ა. მიქავა (ყველა ეგრისი)
გაძევება: ჩხიკვაძე (51, ეგრისი)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

**ფაზისი 3:1 სამეგრელო**
1:0, 2:0 კვირკველია (34, 63), 2:1 ახალაია (65), 3:1 კვირკველია (76)
გაფრთხილება: თუნთია (ფაზისი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:3 | 16 |
| ენგური | 8 | 5 | 1 | 2 | 16:10 | 16 |
| სქური | 7 | 5 | 0 | 2 | 15:11 | 15 |
| მერცხალი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ეგრისი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 12 |
| კოლეჯი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | 11 |
| ფაზისი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:8 | 10 |
| სამეგრელო | 8 | 3 | 1 | 4 | 13:12 | 10 |
| შუქურა | 7 | 3 | 1 | 3 | 12:14 | 10 |
| ოდიში 2 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:10 | 9 |
| ბახმარო | 8 | 2 | 1 | 5 | 7:19 | 7 |
| სალხინო | 7 | 2 | 0 | 5 | 12:19 | 6 |
| კოლხეთი 2 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:19 | 1 |

### აღმოსავლეთი

16 ოქტომბერი

**არსენალი 2 4:0 დინამო 3**
1:0, 2:0, 3:0 ავალიანი (16, 44, 73), 4:0 გამზარდია (87)
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

**ყვარელი 2:1 უნივერსიტეტი იბერია**
1:0, 2:0 ლევინიაშვილი (20, 57), 2:1 კასრაძე (63)
გაფრთხილება: სომხიშვილი (ყვარელი)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**სამგორი 0:3 ალგეთი**
სამსაჯო თანხის გადაუხდელობის გამო „სამგორს“ ჩაეთვალა წაგება.

**მრეტები — ხალიბი**
გადაიდო

17 ოქტომბერი

**ჭაბუკიანი 3:4 ზოოვეტი**
1:0 შეყილაძე (2), 1:1 ზაკუტაშვილი (25), 1:2 დ. არჩვაძე (52), 2:2 შეყილაძე (58), 2:3 მახარობლიშვილი (70), 3:3 გუნია (80), 3:4 დ. ხომერიკი (89)
გაფრთხილება: ბიწაძე, მახარობლიშვილი, ალავიძე (ყველა ზოოვეტი)
მსაჯი: ჯ. კრიჭაშვილი (თბილისი)

**აკადემია 1:0 ალაზანი**
1:0 დ. მეტრეველი (42)
გაფრთხილება: დ. მეტრეველი (აკადემია), კუპრაშვილი (ალაზანი)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**კახეთი 0:0 ღარწყალი**
გაფრთხილება: ნუსხელაძე, ნონიკაშვილი, აგაბაბიანი (ყველა კახეთი), შალვაშვილი (ღარწყალი)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 7 | 6 | 0 | 1 | 15:5 | 18 |
| ღარწყალი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| ყვარელი | 7 | 5 | 2 | 0 | 13:4 | 17 |
| ალგეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 16:10 | 15 |
| არსენალი 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 14 |
| ზოოვეტი | 7 | 4 | 0 | 3 | 18:12 | 12 |
| ხალიბი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:6 | 12 |
| დინამო 3 | 8 | 4 | 0 | 4 | 9:14 | 12 |
| კახეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| ჭაბუკიანი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:14 | 10 |
| უნივერსიტეტი | | | | | | |
| იბერია | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| სამგორი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:13 | 4 |
| მრეტები | 7 | 1 | 1 | 5 | 7:14 | 4 |
| ალაზანი | 8 | 1 | 0 | 4 | 9:22 | 3 |
| ქანაგკო | 7 | 0 | 1 | 6 | 5:22 | 1 |

საქართველოს ჩემპიონატი 10 ტური

# დარტყმა წელს ქვემოთ

მეათე ეროვნული ჩემპიონატი... მეათე ტური... რვა მატჩი. 28 გატანილი ბურთი. 24 ყვითელი და 2 წითელი ბარათი — აი, იმ შეხვედრათა მონაგარი, რომლებიც 17-დან 19 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა. ახალი პრობლემები, ფეხბურთის დაბალი დონე და უწესრიგობაც თან დაჰყვა ტურს.

მატჩების მიმოხილვას კი „დილა“ — „ტორპედოს“ მეტად საინტერესო შეხვედრით დავიწყებთ. გაიმარჯვეს ქართლელებმა. ნაყოფი გამოიღო გორელთა ტაქტიკამ — მათ „ტორპედოს“ სათამაშო უპირატესობას სწრაფი კონტრშეტევები დაუპირისპირეს, სამი უპასუხო ბურთიც გაუტანეს და სატურნირო ცხრილშიც პირველიდან მესამეზე ჩამოაბრძანეს იმერლები. ჩემპიონატის დასაწყისში „დილას“ მონდომების და თამაშის შემყურეებმა კი ვთქვით, კლასი და ასაკი მალე თავისას იზამს და გორელებიც ცხრილის შუაგულში ჩამოქვეითდებიანო, მაგრამ „დილა“ ძველებურად საფეხბურთო საფიხვნოს თავში ტრიალებს და ვინ იცის, სერიოზულადაც ფიქრობს პრიზიორობაზე. ჩვენის მხრივ კი


ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

მიხეილ აშვეთიამ და „დინამომ“ „იბერია“ თავის დაჯრულზე აცეკვეს

ერთხელაც შევუთვლით ბარაქალას გორელებს.

მარადმა ჩემპიონმა მეორე დარტყმა მიაყენა საფეხბურთო იმერეთს და „იბერია“ იავარჰყო. შვიდი ბურთი მეტოქის კარში არცთუ იშვიათი ხილია დინამოელთათვის, მაგრამ სამტრედიული გუნდი აქამდე სერიოზულად ფიქრობდა საევროპო მარაქაში გარევაზე და ამდენად, მსგავს დიდ ანგარიშს ერთი-ორი კაცი თუ ელოდა (თუმცა ასეთი დაცვის გადამკიდე რა ევროპაზე უნდა იფიქრონ სამტრედიელებმა).

მორიგი გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგა „ბათუმმა“ რუსთავში. წლების მანძილზე შეთამაშებული და სტაბილური შემადგენლობის მქონე ზღვისპირელები მეტად და მეტად საშუალოდ ირჯებიან მეათე ეროვნულში და თუკი ფინიშზე თავი არ გაიგიჟეს, წლევანდელ სეზონში მათ გამოსვლას ვერავინ უწოდებს წარმატებულს. „გორდა“ კი, მიუხედავად მეტად მოკრძალებული სატურნირო მდგომარეობისა, დაცვაში შესაშურად თამაშობს და თუ გოლების გატანასაც ისწავლიან რუსთაველები, შედეგიც არ დააყოვნებს.

უჭირთ გურულებს. ჯანყია „გურიაში“. ფეხბურთელები პირველი წრის შემდეგ გუნდიდან წასვლით იმუქრებიან. შიმშილს კლუბზე გულაცრუებაც დაემატა და „გურიაც“ ცხრილის ფსკერზე დაიძირა. ლანჩხუთელთა მთავარ გაჭირვებას მეტად პროზაული სახელი — ფული ჰქვია და თუ იგი არ გამოიძებნა, ვეჭვობთ, რამე ეშველოს ერთ დროს მრისხანე „გურიას“. „არსენალმა“ კი, როგორც იქნა, გვარიანად გამოიღო ხელი და პირველი დიდი ანგარიშით გამარჯვებაც მოიპოვა. გუნდში ახლახან მისული ზირაქიშვილიც, ისე ჩანს, ნამდვილ ლიდერად მოევლინება არმიელებს და თუ ასე გააგრძელა, ასკ-ს თავდასხმასაც ეშველება.

„კოლხეთმა“ გასვლაზე უნივერსიტეტელები დაამარცხა და დაკარგული ქულებით მეორე-მეხუთე ადგილებს იყოფს. კოლხთა თამაშის შემყურე აშკარაა, მათ კრიზისი უკან მოიტოვეს და ფოთელთა გუნდი ძველებურად მეორე ადგილის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ისედაც ძლიერ გვასალია-წივწივაძის დუეტს, ახლა სწრაფი და მობილური გაბისონიაც დაემატა და ეს სამეული უეჭველად მრავალ თავსატეხს გაუჩენს მეტოქეთა დაცვას. თსუ-მ ამ მარცხით კვლავ გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა და ახლა ბოლო ადგილზე მყოფი გუნდისგან ერთი ქულაღა აშორებს.

ოდიშართ „სიონთან“ შეხვედრა უკვე თამაშამდე წააგეს. დაგვეთანხმებით, ძნელია რვასაათიანი, დამღლელი მგზავრობის შემდეგ ბურთი ხეირიანად გააგორო მინდორზე. აკი ვერც გააგორეს ზუგდიდელებმა, ის კი არა, მეკარე ნაყოფიას ყურებიც დაგუბებოდა თურმე გაუმართავი ავტობუსის ძრავის გუგუნისგან. ასე იყო თუ ისე, „სიონმა“ ბოლო ადგილს თავი დააღწია, მეორე გამარჯვებაც გაახერხა და ქვეშ „გორდა“, „სამგურალი“ და „გურიაც“ მოიგდო.

წყალტუბოში მესამე იმერული გუნდის მარცხის მომსწრენი შევიქენით. არადა, არ იმსახურებდა დარსაძე და კომპანია წაგებას. სხვათაგან აშკარად გამორჩეული მწვრთნელია გაიოზ დარსაძე, ახალგაზრდა და გამჭრეტი. სწორი ტაქტიკის წყალობით პირველი ტაიმი პირწმინდად მოუგო არანაკლებ ჭკვიან მახარაძეს, მაგრამ მეორე ნახევარში რკინიგზელები უმალ საშემსრულებლო ოსტატობამ აჯეირა და აჰა, მეათე ტურია, მოგებისა და ფრეების მეტი არაფერი იცის „ლოკომოტივმა“. მიუხედავად ცუდი პირობებისა და სატურნირო მდგომარეობისა, „სამგურალი“ არ არის სხვებზე ბევრად სუსტი გუნდი და, ალბათ, თავსაც დააღწევს სახიფათო ზონას.

დაბოლოს, „მერანი“ — „ვიტ ჯორჯია“, სინათლე და ჩხუბი „სინათლეზე“. ამჯერად თანამსაჯი გახდა ფეხბურთელთა რისხვის ობიექტი. ვიტელმა ჭანკოტაძემ კი წიხლიც ჩააზილა რუსიშვილს. რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნო ფაქტია. ჭანკოტაძე ეს-ესაა იწყებს ფეხბურთის თამაშს და ცოტა ხმაურით ხომ არ იწყებს?

მსაჯები რომ ცდებიან ჩვენში, ეს ყველამ (მსაჯებმაც) უწყის, მაგრამ წიხლაობის უფლება მინდორზე არათუ ჭანკოტაძეს, მარადონასაც არა ჰქონდა.

ისე სავალალოა, მთელი თამაშიდან ფეხბურთზე მეტად წიხლაობა რომ დაგამახსოვრდება კაცს. ჭანკოტაძის წიხლი (სხვებისაც) თანამსაჯისთვის კი არა, ჩვენი ფეხბურთისთვისაა წელს ქვემოთ დარტყმა.

ისე, „საუკეთესო დამრტყმელის“ პრიზიც ხომ არ დაგვეწესებინა?

**კონსტანტინე გოგიშვილი**

---

ბოლნისი
17 ოქტომბერი
16 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

### სიონი 1:0 ოდიში

1:0 მ. სამხარაძე (24)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მაზანაშვილი, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, გაგუა, ჯაგიდისი, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი, დ. სვანიძე, დ. ჯაფარიძე, ე. ჯაფარიძე, კ. ჯაფარიძე, ქობელაშვილი, ძნელაძე
ოდიში: ნაყოფია, ლურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, ტაბალუა, ჩადუნელი (თოლორაია 79), ბარქაია, მარკოზია (კუტალია 46), თოლორდავა, ენდელაძე
*სათადარიგონი:* ივარდავა, აკობია, ანჯაფარიძე
გაფრთხილება: ჩადუნელი (55), შაკიაშვილი (90)
მსაჯები: ო. გუნთაძე, (ლანჩხუთი), დ. თოდუა (თბილისი), თ. ჩაგელიშვილი (ქარელი); შ. ბერიძე (ასპინძა)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

---

წყალტუბო
17 ოქტომბერი
16 საათი
26 მაისი
150 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 1:2 ლოკომოტივი

1:0 მახვილაძე (27), 1:1 გოდერძიშვილი (54), 1:2 მელქაძე (74)
სამგურალი: ხაჩირაშვილი, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, დ. ჭელიძე, მახვილაძე, ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე (ფაიქიძე 65), თევდორაძე, კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, ზ. ქუთათელაძე, ღონღაძე, ფილიპაშვილი, დარსაძე
ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი (ნ. მინდიაშვილი 40), თარხნიშვილი, გოგოლაძე, კ. მელქაძე, ბაქრაძე (კოტორაშვილი 65), დაუშვილი (მარლიშვილი 46), დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, მ. მინდიაშვილი, ხორგუაშვილი
გაფრთხილება: კაციაშვილი (34), ბაქრაძე (58), ფრანგიშვილი (60), ფაიქიძე (70), თარხნიშვილი (72), კოტორაშვილი (75), დ. ჭელიძე (81), მარლიშვილი (81)
მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

---

ვაკე
17 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
1000 (ტევადობა 3 000)

### თსუ 2:4 კოლხეთი

1:0 კაკუბავა (2), 1:1 ქობულაძე (33), 1:2 წივწივაძე (39), 1:3 გაბისონია (42), 1:4 წივწივაძე (58), 2:4 წიტაიშვილი (63პ)
თსუ: გაბელია, გ. ილურიძე, ზამთარაძე (ნინუა 46), ვ. ღუდუშაური, ებრალიძე (ბახტაძე 60), ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
სათადარიგონი: მერლანი, ო. სულაძე, ინწკირველი, კ. სვანიძე
კოლხეთი: ქვაჩახია, ტორჩინავა (გოროზია 35), კალანდაძე (დ. ნოზაძე 57), ახვლედიანი, შალამბერიძე, ღაღანიძე, სუხიაშვილი (გიორგობიანი 80), გვასალია, გაბისონია, წივწივაძე, მ. ქობულაძე
სათადარიგონი: ჩემია, ქუნთელია ქუტიძე, შავგულიძე
გაფრთხილება: კაკუბავა (78)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი) გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. დარჩია (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

---

რუსთავი
17 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
1500 (ტევადობა) 10 700

### გორდა 0:0 ბათუმი

გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, ვ. კილასონია, გაბელაია, ზირაქაძე, ქოიავა (ტარტარაშვილი 34), ჩუხუა, კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ი. ხუჯაძე, კოპალიანი, ჩოხელი, დ. მენთეშაშვილი, შ. კაპანაძე
ბათუმი: მალაყმაძე, პაპიძე, თორლაშვილი, სიჭინავა, კანტიძე, ღლონტი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტულუში, რუსია (ყულეჯიშვილი 73)
*სათადარიგონი:* ტოგონიძე, ვერემჩუკი, მეავანაძე, ნადირაძე, მაქაცარია
გაფრთხილება: ტულუში (78), ყულეჯიშვილი (81)
მსაჯები: ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

---

გორი
17 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
3 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 3:0 ტორპედო

1:0 მარეხაშვილი (41), 2:0 თაყაძე (76), 3:0 მარეხაშვილი (88)
დილა: მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, გ. ჩიტაია (დ. მაისურაძე 73), ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, თაყაძე, მოსულიშვილი (რ. ახალკაცი 78), შატაკიშვილი (ნ. ახალკაცი 82)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, აკოფიანი
ტორპედო: ასლანაძე, ჩხაბერიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, თურმანიძე, კ. კვეტენაძე (ჩხაიძე 77), ჩხეტიანი, ქებაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 46), იონანიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, ჭანტურია
გაფრთხილება: შეყრილაძე (19), გაგნიძე (53), ჯანაშია (86)
გაძევება: მაისურაძე (85)
მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი), ა. მეშკოვი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი ბ. ქარქაშაძე

---

თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
1500 (75 000)

### დინამო 7:2 იბერია

1:0 კიკნაძე (2), 2:0 დ. მუჯირი (17), 3:0 აშვეთია (39), 4:0 გ. შენგელია (52), 5:0 ლურსმანაშვილი (56ს.კ.), 6:0 აშვეთია (61), 6:1 ივეჩიანი (67), 6:2 ჭელიძე (69პ), 7:2 გ. შენგელია (71)
დინამო: გვარამაძე, ი. მახარაძე (ქემოკლიძე 60), ზ. ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი, გუჩუა (კვარაცხელია 55), კიკნაძე, ლ. მიქაძე (ა. სახვაძე 65), აშვეთია, ზ. არჩვაძე, გ. შენგელია
*სათადარიგო:* სოლოლაშვილი
იბერია: გ. დოლიძე (ჩაჩუა 46), სადილიანი, გ. ლუსმანაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (ივეჩიანი 57), ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, თოდუა, ბრეგვაძე (გ. ჭელიძე 22)
*სათადარიგონი:* მუმლაძე, მიქელთაძე, გაბრიჭიძე, ბაკურაძე
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ვ. ჩოჩიშვილი; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

---

თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
ისანი
1500 (5 000)

### არსენალი 5:1 გურია

1:0 ხოსროშვილი (10), 1:1 მახარაძე (28), 2:1 ტარიელაშვილი (49), 3:1 ზირაქიშვილი (64), 4:1 გველესიანი (71), 5:1 ზირაქიშვილი (85)
არსენალი: აბაშიძე, ფირცხალავა (ყუფარაძე 80), კაპანაძე, ვ. გველესიანი, ქიქავა, ყოლბაია (მ. მაისურაძე 83), ზირაქიშვილი, ლომიძე, ხოსროშვილი, კაკაშვილი (კორღალიძე 46), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* ჩლაიძე, გ. სულაძე, ამირიძე, ლაცაბიძე
გურია: ვარდანიძე, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი, თიბილაშვილი, ინიაშვილი, დ. მახარაძე (ჩიკვილაძე 75), ჩიგოშვილი (ლორია 68), მელაძე, ბულუხია
*სათადარიგონი:* პატარაია
გაფრთხილება: კვეკვესკირი (11), კაპანაძე (44)
მსაჯები: ს. კახიანი, ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე; დ. თოდუა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

---

თბილისი
19 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
800 (2 000)

### მერანი 0:0 ვიტ ჯორჯია

მერანი: ლომაია, ივანიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (ჯიშკარიანი 78), გელა ქორიძე, ბაჯელიძე (დევიძე 84), გ. კვეტენაძე, ხუციშვილი, მესხი
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია, ხარებავა, ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, ადეიშვილი
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი (კვიციანი 90), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დვალიშვილი, ი. კაპანაძე (დ. დოლიძე 81), ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ნოზაძე, მაზიაშვილი, გ. გვაზავა (ა. ბოკერია 83)
სათადარიგონი: გუგუნავა, გოჩაშვილი
გაფრთხილება: კაპანაძე (9), ზ. გვაზავა (50), ჭანკოტაძე (69), მესხი (78), ჭურაძე (85)
გაძევება: დვალიშვილი (85)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); გ. მგელაძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

---

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 9 - | წივწივაძე | *კოლხეთი* |
| 8 - | აშვეთია | *დინამო* |
| | ხომერიკი | *დინამო* |
| 7 - | იონანიძე | *ტორპედო* |
| 6 - | კაიდარაშვილი | *დილა* |
| | ტულუში | *ბათუმი* |
| 5 - | ვ. გიგიაძე | *იბერია* |
| | დ. გოდერძიშვილი | *ლოკომოტივი* |
| | ჩომახიძე | *იბერია* |
| | ცქიტიშვილი | *დინამო* |

---

### სიმბოლური ნაკრები

მიხეილ აშვეთია — *დინამო*
ჰამლეტ წივწივაძე — *კოლხეთი*
გიორგი სუხიაშვილი — *კოლხეთი*
გიორგი კიკნაძე — *დინამო*
ჯიმშერ მარეხაშვილი — *დილა*
ზაზა ზირაქიშვილი — *არსენალი*
მირზა სამხარაძე — *სიონი*
ლევან გოჩაშვილი — *დილა*
ხვიჩა გაგნიძე — *დილა*
მიხეილ ქობულაძე — *კოლხეთი*
დავით გვარამაძე — *დინამო*

გუნდი დილა
მწვრთნელი ივანე თაყაძე *დილა*

---

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 2 | 8 | 7 | 1 | 0 | 35:7 | +28 | 22 | 5 | 4 | 1 | 0 | 26:6 | +20 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | +8 | 9 |
| 2 დილა (9) | 3 | 10 | 6 | 2 | 2 | 14:7 | +7 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | +6 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | +1 | 8 |
| 3 ტორპედო (4) | 1 | 9 | 6 | 2 | 1 | 23:10 | +13 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 15:4 | +11 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | +2 | 10 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 4 | 10 | 5 | 5 | 0 | 15:5 | +10 | 20 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | +4 | 8 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:4 | +6 | 12 |
| 5 კოლხეთი (3) | 6 | 9 | 5 | 2 | 2 | 20:11 | +9 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:2 | +12 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 6 იბერია (დ) | 5 | 10 | 5 | 0 | 5 | 22:25 | -3 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 12:6 | +6 | 9 | 6 | 2 | 0 | 4 | 10:19 | -9 | 6 |
| 7 ბათუმი (2) | 7 | 10 | 3 | 5 | 2 | 17:10 | +7 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:3 | +8 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 6 |
| 8 ოდიში (5) | 8 | 9 | 4 | 0 | 5 | 6:12 | -6 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 6 |
| 9 არსენალი (დ) | 11 | 10 | 3 | 3 | 4 | 11:17 | -6 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:9 | -5 | 7 |
| 10 ვიტ ჯორჯია (10) | 9 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | -1 | 11 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 3 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 8 |
| 11 მერანი (7) | 10 | 10 | 2 | 5 | 3 | 7:11 | -4 | 11 | 6 | 1 | 4 | 1 | 2:2 | 0 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 4 |
| 12 თსუ (8) | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | -6 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 |
| 13 სიონი (13) | 16 | 10 | 2 | 2 | 6 | 11:25 | -14 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 8 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:17 | -15 | 0 |
| 14 გორდა (11) | 15 | 9 | 1 | 5 | 3 | 5:6 | -1 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | +1 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | -2 | 2 |
| 15 სამგურალი (12) | 14 | 10 | 2 | 1 | 7 | 8:23 | -15 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:17 | -13 | 1 |
| 16 გურია (14) | 13 | 10 | 2 | 1 | 7 | 9:27 | -18 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:21 | -17 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

# ვაი, თუ მოწვიმოს

## ჩემპიონთა თასი. მესამე ტური

ის გამოჯანმრთელდა, თავს უკეთ გრძნობს და ალბათ დაუპირისპირდება კიდეც მოსკოველებს — რონალდომ ორშაბათს საღამოს „ინტერის" ექიმებისგან თამაშის უფლება მიიღო. მსოფლიოს ჩემპიონატის ვარსკვლავთაგანი დღეს სავარაუდოდ შეებრძოლება „სპარტაკს", გუნდს, რომელიც გაზაფხულზე პირადად მან გამოთიშა უეფას თასის გათამაშებას.

— თავს უკეთ ვგრძნობ. ფეხბურთიც მომენატრა. ძალიან მინდა, ლამაზი დაბრუნება გამომივიდეს. ვეცდები, თანაგუნდელებს გამარჯვებაში დავეხმარო — რონალდოს ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ ის, რომ იგი შესაძლოა რუსებთან ათამაშონ, ერთ რამედ ღირს.

„ინტერი", იტალიის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, რუსთა უძლიერეს გუნდს წლეულს მესამედ დაუპირისპირდება. გაზაფხულზე, უეფას თასის ნახევარფინალში მილანელებმა ორჯერ დაამარცხეს მეტოქე და ფინალს უწიეს, სულ ბოლოს კი თასიც მოიგეს. მაშინ „ინტერი" უდავო ფავორიტად ითვლებოდა და მოლოდინი გამართლდა კიდეც. ახლა სიტუაცია შეიცვალა — მილანში თამაშის მიუხედავად, „ინტერს" გამარჯვება სულაც არ აქვს განაღდებული. თან ახლა მოსკოველებს მილანში ფრეც აძლევთ ხელს, როცა მასპინძლებს უცილობელი გამარჯვება ესაჭიროებათ. ამ ბოლო დროს უეფას თასის მფლობელ გუნდზე კარგი არ დაგცდება — ჯიჯი სიმონი ერთთავად კრიტიკის ქარცეცხლშია მოქცეული, რაც უპირველეს ყოვლისა, გუნდის ცუდი თამაშით აიხსნება.

— ცხადია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ გული მიგრძნობს, მოგება გაგვიჭირდება. „სპარტაკი" ახლა გაცილებით ძლიერია, ვიდრე გაზაფხულზე, თუმც ეს ჩვენთვის არც ისე მნიშვნელოვანია. მეტოქეს ორი შეხვედრა აქვს მოგებული, ჩვენ — ერთი. ხვალინდელი მატჩი აუცილებლად ჩვენს სასარგებლოდ უნდა დავასრულოთ. მოგების გარდა არანაირი შედეგი არ გვაინტერესებს. მწამს, შევძლებთ მოსკოველთა ძლევას — ჯიჯი სიმონი ძალიან ნერვიოზული გახლდათ. დღევანდელი თამაში „ინტერისთვის", ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს თამაში გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენს სიმონის მომავალზე. მასპინძელთა მარცხის შემთხვევაში, რაც გამორიცხული სულაც არ გახლავთ, სრულიად დასაშვებია „ინტერს" მწვრთნელი შეუცვალონ — გუნდმა მანამდე რამდენიმე მნიშვნელოვანი თამაში წააგო, რამაც კლუბის თავკაცის ირგვლივ კრიტიკის ცეცხლი დაანთო. ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლაციოსთან" შინ მარცხმა კი ზემოხსენებულ ცეცხლზე ნავთი დაასხა.

„ინტერმა" აუცილებლად უნდა მოიგოს. უკან დასახევი გზა, როგორც ამბობენ, მოჭრილი აქვს.

რუსეთის ჩემპიონი, ახლა უკვე ექვსგზის, მილანს რამდენიმე დღეა, რაც ესტუმრა. რონალდოს თამაშის შესაძლებლობა სტუმრებს, ცხადია; არ ესინსხვავებით, იტალიის ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამი წლის უცვლელი ფინალისტი ტურინის „იუვენტუსი" ბასკეთს სტუმრობს ბილბაოს „ატლეტიკთან" დასაჭიდებლად. აპენინელებს წლევანდელ გათამაშებაში შეხვედრა არ მოუგიათ, თუმცა არც დამარცხებულან. ცხადია, დაუმარცხებლად სვლა კარგია, მაგრამ ნამეტანი მშვიდობისმოყვარეობაც არ ვარგა — მორიგი ფრე, მარცხზე რომ არაფერი ვთქვათ, „ბებერი ქალბატონისთვის" ძალიან ცუდი იქნება.



ივლისში მანჩესტერელებმა ამხანაგურ მატჩში „ბრონდბიუ" 6:0 გაანადგურეს. რა მოხდება დღეს?

*სარბიელის არქივიდან*

ამოვენებოდათ, მაგრამ თუ „სპარტაკის" პრეზიდენტ-მწვრთნელ ოლეგ რომანცევს ვენდობით, ამ ცნობამ გუნდზე დიდი ზეგავლენა არ მოახდინა. მეტიც, რომანცევმა ისიც განაცხადა, თუ მილანელები რონალდოს იმედად არიან, ძალიან ცდებიან, ერთი მოთამაშე დღევანდელ „სპარტაკს" არათუ ვერ დაამარცხებს, ვერც გაუმკლავდებაო.

„სპარტაკი" დღეს სამ მოთამაშეს მოისაკლისებს — იგორ ტიტოვი დისკვალიფიცირებულია, თავდამსხმელი ალექსანდრ შირკო, ისევე როგორც შუახაზელი ვალერი კეჩინოვი, ტრავმირებულია. დანაკლისთან ერთად რუსეთის ჩემპიონებს ორი მოთამაშე დაემატათ, რომელთაც ბოლო ტურში ვოლგოგრადის „როტორის" წინააღმდეგ არ უთამაშიათ — ილია ციმბალარი და ანდრეი ტიხონოვი ოლეგ რომანცევმა განზრახ დაასვენა. ფეხბურთელებმა კი ტრავმები მოიშუშეს და „ინტერთანაც" ითამაშებენ.

— თუ ჩვენ ისევე ვითამაშეთ, როგორც „რეალთან", მაშინ მილანში ფრეს მივაღწევთ, ეს კი ჩვენთვის ნამდვილად კარგი შედეგი იქნება. გამორიცხული არაფერია. სავსებით რეალურად მესახება „სპარტაკის" „სან სიროზე" გამარჯვება — განაცხადა რომანცევმა.



ის მოდის!

ყველაფერი დღეს გამოჩნდება — „ინტერი" ან „სპარტაკი".

„ინტერისგან" გარჩება ერთი გზა — გამარჯვება. მაგრამ ვაი, თუ წამოწვიმოს...

— თუ მოწვიმს, ეს ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება. მაშინ „იუვენტუსს" შესაძლებლობებს დავანახებთ — „ატლეტიკი" დაუმარცხებელია წვიმაში — ასეთი, ცოტა არ იყოს, უცნაური განცხადება გააკეთა ბილბაოელთა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა.

განა ყველაფერი წვიმაზეა დამოკიდებული? თუ გუნდმა არ ითამაშა, ბუნება კი არა, ვერაფერი უშველის.

ბილბაოელებს ტურინელებთან შედარებით ერთი ძალიან დიდი უპირატესობა აქვთ — ისინი „სან მამესზე" თამაშობენ, ამ მინდორზე კი სტუმართ წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ — ბასკ ქომაგთა ჟივილ-ხივილისთვის ბევრ გუნდს ვერ გაუძლია. შედეგიც შესაბამისი მიუღიათ.

— გამოუშვან „იუვენტუსი"! ჩვენ მას კუდით ქვას ვასროლინებთ — მთლად ასე სუფთა ქართულით არა, მაგრამ დაახლოებით ასე თქვა ისმაელ ურსაისმა, ბილბაოელთა უპირველესმა თავდამსხმელმა ამ სეზონში. ესპანეთის ჩემპიონატის ექვს ტურში ხუთი გოლის გამტან ურსაისს იტალიელთა დამარცხება არ აეჭვებს. იგი იმედიანადაა. ანალოგიური განწყობით ხვდებიან მომავალ თამაშს ურსაისის თანაკლუბელებიც.

რაც შეეხება „იუვენტუსს", არც მარჩელო ლიპის გუნდი იტეხს გულს. იტალიელებს განსაკუთრებით ალესანდრო დელ პიეროს ბოლოდროინდელი თამაში და ზინედინ ზიდანის გამოჯანმრთელება უხარებთ გულს.

— მეტად მნიშვნელოვანი თამაშის წინ ორი წამყვანი ფეხბურთელის დაბრუნება კარგია. ჩვენთვის ამ თამაშს არსებითი მნიშვნელობა აქვს — გამარჯვების შემთხვევაში საქმეს ვიიოლებთ, ყველა სხვა შედეგისას კი ჯგუფიდან გასვლის ამოცანა ერთიორად გვირთულდება — განაცხადა იტალიის უძლიერესმა მწვრთნელმა.

ბილბაოელებთან დაპირისპირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიდიე დეშამპისთვის — „იუვენტუსის" ფრანგი ნახევარმცველი, ისევე, როგორც „ატლეტიკოს" მწვრთნელი ლუის ფერნანდესი, წარმოშობით ბასკია. დეშამპი საფრანგეთის ბასკურ მხარეში მდებარე ქალაქ ბეიონშია დაბადებული.

— მიხარია, ბასკეთში რომ ვარ. ასე მგონია, შინ ვარ. ძალიან მიყვარს ტურინის „იუვენტუსი", მაგრამ კარიერას, ალბათ, სხვაგან დავამთავრებ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩემი ბოლო კლუბი „ატლეტიკი" იყოს — განუცხადა ესპანელ ჟურნალისტებს დეშამპმა.

რა შეიძლება ითქვას კონკრეტულად დღევანდელ თამაშზე? დაძაბულობა და მისთანები რომ იქნება, ისედაც ნათელია. მაგრამ ამ დღეს „სან მამესზე" კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იმოქმედებს — „იუვენტუსი" ევროტურნირებზე, კერძოდ კი უეფას თასზე ორჯერ დაპირისპირებია „ატლეტიკს" და ბილბაოში ფრე რაა, მისთვისაც ვერ მიუღწევია. გატეხავენ იტალიელები ნავსს?

ზემოთ ვთქვით, ფერნანდესს წვიმის იმედი აქვსო. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, წვიმის იმედი საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელ დუშან ბაევიჩსაც ჰქონია — ამსტერდამელები ცუდ ამინდში ვერ თამაშობენ, იმედია, მისი უდიდებულესობა ბუნება ჩვენ დაგვეხმარებაო (?!).

სხვათა შორის, „აიაქსი" დღევანდელი თამაშის წინ მეტად ცუდ ფორმაშია — დენი ბლინდი მუხლის ტრავმის გამო ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს და საბერძნეთში არც ჩასულა. გარდა ამისა, კიდევ ხუთი ამსტერდამელია ტრავმირებული. იარი ლიტმანენს ორი კვირის წინ მიღებული მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა, ტიჯანი ბაბანგიდამ მარჯვენა ფეხის კუნთი დაიჭიმა, სანდი ოლისე ზურგს შეუწუხებია, რონალდ დე ბურს მუხლი სტკივა, პეტერ ჰუქსტრას კი მუხლის მყესების ტრავმა აქვს. „აიაქსი" ლამისაა ლაზარეთად იქცეს, თუმცა აქვე იმასაც დავძენ, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ფეხბურთელის (ცხადია, ბლინდის გარდა) თამაში დღეს შესაძლებელია.

სხვა თამაშებს რაც შეეხება, „ბრონდბიუ" — „მანჩესტერის" დაპირისპირებას აღვნიშნავთ — ივლისში, პრემიერლიგის დაწყებამდე, ტურინში მყოფმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ბრონდბიუ" დანიაში შეარცხვინა, 6:0 მოუგო, თუმც დანიელებმა განაცხადეს, ახლა იგივე არ განმეორდებაო.

ვნახოთ!

**ირაკლი ილაშვილი**

### A ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი — აიაქსი**

გაფრთხილება: ლუსიანო ნუნეშ დე სოუზა, დიმიტრიოს მავროგენიდისი, პეტროს პახალისი, ილიას პურსუნიდისი, ალექსის ალექსანდრისი, გეორგიოს ამონატიდისი (ოლიმპიაკოსი), დანი, ოლე ტობიასენი, რიხარდ ვიჩხე (აიაქსი)
დისკვალიფიკაცია: დიმიტრიოს მავროგენიდისი (ოლიმპიაკოსი)
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა (ესპანეთი)

**პორტუ — კროაცია**

გაფრთხილება: სეკრეტარიო, ზლატკო ზაჰოვიჩი, ჟორჟე კოშტა, ფერნანდო მენდესი, პაულინიუ სანტუში (პორტუ), გორან იურიჩი, სილვიო მარიჩი, მარიო ტოკიჩი, დარიო სიმიჩი (კროაცია)
მსაჯი: გუნტერ ბენკო (ავსტრია)

### B ჯგუფი

**რუსენბორგი — გალათასარაი**

გაფრთხილება: კრისტერ ბასმა, ანდრე ბერგდოლმო, ბიერნ ოტო ბრაგსტადი, ანდრეას მაიერი, იან ივარ იაკობსენი, ერიკ ჰოფტუნი (რუსენბორგი), ემრე ბელოზოღლუ, გოქან ჰასან სასი, ჰაქან უნსალი, ოქან ბურუქი, გეორგე ჰაჯი, ჰაქან შუქური (გალათასარაი)
დისკვალიფიკაცია: რუნარ ბერგი (რუსენბორგი), იულიან ფილიპესკუ, თუგაი ქერიმოღლუ (გალათასარაი)
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)

**ბილბაო — იუვენტუსი**

გაფრთხილება: პაჩი ფერეირა, სანტიაგო ესკუერო, ფრანსისკო ლაკრუსი, ანდონი იმასი, ისმაელ ურსაისი, არანდა, ხოსუ ურუტია (ბილბაო), დიდიე დეშამპი, ანჯელო დი ლივიო, დანიელ ფონსეკა, ალესანდრო ბირინდელი (იუვენტუსი)
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

### C ჯგუფი

**ინტერი — სპარტაკი**

გაფრთხილება: არონ ვინტერი, დიეგო სიმეონე, ნიკოლა ვენტოლა, ფრანჩესკო მორიერო (ინტერი), ნიკოლაი პისარევი, ევგენი ბუშმანოვი, ანატოლი კანიშჩევი, დმიტრი ხლესტოვი, ვასილი ბარანოვი, ანდრეი ტიხონოვი (სპარტაკი)
დისკვალიფიკაცია: ფრანჩესკო კოლონეზე (ინტერი), ეგორ ტიტოვი (სპარტაკი)
მსაჯი: მარკ ბატა (საფრანგეთი)

**რეალი — შტურმი**

გაფრთხილება: კრისტიან კარემბუ, ფერნანდო მორიენტესი, რაული (რეალი), დიდიე ანგიბო, დარკო მილანიჩი, რომან მაელიხი, მარკუს შოპი, მარიო ჰაასი (შტურმი)
მსაჯი: გრეჰემ ბარბერი (ინგლისი)

### D ჯგუფი

**ბაიერნი — ბარსელონა**

გაფრთხილება: ტორსენ ფინკი, თომას ჰელმერი, იენს იერემისი, ოლივერ კანი, შტეფან ეფენბერგი (ბაიერნი), ფილიპ კოკუ (ბარსელონა)
დისკვალიფიკაცია: ლოთარ მათეუსი (ბაიერნი)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

**ბრონდბიუ — მანჩესტერი**

გაფრთხილება: თომას ლინდრუპი, ებე სანდი, ბრიან იენსენი (ბრონდბიუ), ხორდი კრუიფი, ტედი შერინგემი (მანჩესტერი)
დისკვალიფიკაცია: იონ იენსენი (ბრონდბიუ), ნიკი ბათი, დევიდ ბექემი (მანჩესტერი)
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

### E ჯგუფი

**არსენალი — დინამო**

გაფრთხილება: ემანუელ პეტი (არსენალი), ანდრეი შევჩენკო, ვლადისლავ ვაშჩუკი (დინამო)
დისკვალიფიკაცია: პატრიკ ვიეირა (არსენალი), ალექსანდრ ხაცკევიჩი (დინამო)
მსაჯი: რიჩარდ ვუიჩეკი (პოლონეთი)

**ლანსი — პანათინაიკოსი**

გაფრთხილება: მიკელ დებევე, ფრედერიკ დეუ, ალექს ნიარკო (ლანსი), ალიოშა ასანოვიჩი, ეფსტრატიოს აპოსტოლაკისი, ნიკოლაოს ლიბეროპულოსი, იოანის გუმასი, ერიკ მიუკლანდი (პანათინაიკოსი)
დისკვალიფიკაცია: ვლადან მილოევიჩი (პანათინაიკოსი)
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

### F ჯგუფი

**ჰიკ — ბენფიკა**

გაფრთხილება: მარსელო გონკალვეშ დე ოლივეირა, მიკა ლეკორსუო, აკი რიილაჰტი, ვილე ნილანდი, მარკუს კანერვეი (ჰიკ), მარტინ პრინგლი (ბენფიკა)
დისკვალიფიკაცია: აარნო ტურპინენი (ჰიკ), ტაჰარ ელ ხალეჯი (ბენფიკა)
მსაჯი: ვაცლავ არონდლი (ჩეხეთი)

**ეინდჰოვენი — ლაუტერნი**

გაფრთხილებბ: ჟორჟინიო, ანდრე ოიერი, ტომაშ ივანი, ვუტერუს ვან დერ დოლენი, რონალდ ვატერეუსი (ეინდჰოვენი), ჰანი რამზი, მიქაელ შონბერგი, ჩირიაკო სფორცა (კაიზერსლაუტერნი)
დისკვალიფიკაცია: მარკოს სანტოსი (ეინდჰოვენი)
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

## ფეხბურთის რუკასთან

სლოვაკეთის ეროვნული გუნდის ნახევარმცველი ლუბომირ მორავჩიკი გერმანული „დუისბურგის" დატოვებას აპირებს. მისი თქმით, ამის მიზეზი იაპონიის ჯეი ლიგიდან მიღებული სარფიანი წინადადება ყოფილა. „მინდა, თავიდან გადავხედო კონტრაქტს, მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლამდე მაქვს გაფორმებული. აგრეთვე მზად ვარ „დუისბურგს" გარკვეული თანხაც კი გადავუხადო, რადგან იაპონიიდან მართლაც დიდებული წინადადება მივიღე" — განუცხადა 33 წლის ფეხბურთელმა პოპულარული გერმანული ჟურნალის „კიკერის" კორესპონდენტს.

გერმანულმა ბერლინის „ჰერტამ" გაძლიერება გადაწყვიტა და ამ მიზნით ხორვატი ფეხბურთელი ივიცა ოლიჩი შეიძინა. 19 წლის თავდასხმელი ბუნდესლიგური კლუბის ხელმძღვანელობამ ხორვატიის მეორე დივიზიონის სლავონსკი ბროდის „მარსონიადან" გადმოიყვანა. ოლიჩმა „ჰერტასთან 2002 წლის ბოლომდე გააფორმა ხელშეკრულება. მხარეებს კონტრაქტის პირობები არ გაუმხელიათ.

გერმანიის ნაკრების ყოფილი და მიუნხენის „ბაიერნის" მოქმედი ფეხბურთელი, შტეფან ეფენბერგი რომ ახალ სკანდალში გაეხვია, უკვე გაცნობეთ. შეგახსენებთ, 30 წლის ნახევარმცველი ერთი კვირის წინ პოლიციამ ღამის ოთხის ნახევარზე დააკავა ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის. ეს საქციელი ეფენბერგს ძვირად დაუჯდა — გარდა იმისა, რომ იგი პოლიციამ დააჯარიმა, არც მიუნხენურმა კლუბმა დაინდო წამყვანი ნახევარმცველი და საკმაოდ სოლიდური თანხითაც შეუთხელა ჯიბე. თუმცა კონკრეტული რაოდენობის დასახელებისაგან კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, ოტმარ ჰიტცფელდმა თავი შეიკავა. თავად ფეხბურთელმა განაცხადა, მომხდარის გამო ვწუხვარ და თავს დამნაშავედ ვგრძნობო. „ეფენბერგი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რათა სხვას მსგავსი მოქმედების სურვილი დაეკარგოს" — ამგვარი იყო „ბაიერნის" მენეჯერ ული ჰიონესის აზრი. ისე ეფენბერგს მატერიალური ზარალის ანაზღაურება ბუნდესლიგის უახლოეს ტურშივე შეუძლია. მიზეზი მარტივია — ქვეყნის ჩემპიონატში თითოეული მოგებისათვის, რომელიც „ბაიერნს" პირველ ადგილს შეურჩუნებს, კლუბის პრეზიდენტმა, ფრანც ბეკენბაუერმა 9000 გერმანული მარკა (დაახლოებით 5 ათასი დოლარი) პრემია დააწესა.

რუმინეთი. მე-10 ტური: ოლიმპია — უნივერსიტატია (კრაიოვა) 1:1; პეტროლული — ბაკაუ 1:1; ფორესტა — არჯეში 2:2; ფარული — ასტრა 1:0; გლორია — რაპიდი 2:4; ჩაჰლაული — სტიაუა 0:3; ოცელული — რესიტა 4:0; დინამო — ონეშტი 3:1; ნასიონალი — უნივერსიტატია (კლუჟი) 3:1. გათამაშებას 28 ქულით ლიდერობს „რაპიდი". მას 3 ქულით ჩამორჩება „დინამო".

ისრაელის ჩემპიონატი. მე-5 ტური: მაკაბი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ქვარსავა) 4:1; ჰაპოელი (თელავივი) — ბეითარი 1:0. გათამაშებას 13 ქულით ლიდერობს „ჰაპოელი" (ჰაიფა). მას 1 ქულით ჩამორჩება „ჰაპოელი" (ფეთაჰ თიკვა).

იუგოსლავიის ჩემპიონატი. მე-10 ტური: სპარტაკი — პრიშტინა 3:1; მოგრენი — რადნიჩკი (ნისი) 0:0; რადნიჩკი (კრაგუჟევაცი) — ოფკ 6:1; სარტიდი — მილისიონარი 1:0; ზემუნი — პარტიზანი 1:2; რადი — პროლეტერი 1:1; ბუდუჩნოსტი — ზელეზნიკი 2:0; ვოივოდინა — ჰაიდუკი 3:1; ცრვენა ზვეზდა — ობილიჩი 1:1. გათამაშებას 30 ქულით ლიდერობს „პარტიზანი". მას 6 ქულით ჩამორჩება „ობილიჩი".

**არგენტინის ჩემპიონატი. მე-11 ტური: ურაკანი — პლატენსე 2:1; ბელგრანო — რასინგი 3:1; ბოკა ხუნიორსი — ველესი 2:0; ხიმნასია (ლა პლატა) — კოლონი 4:2; ხიმნასია (ხუხუი) — რივერ პლეიტი 2:2; ინდეპენდიენტე — როსარიო 1:1; ლანოსი — ტალერესი 1:4; ნიუელს ოლდ ბოისი — არგენტინოს ხუნიორსი 0:0; უნიონი — სან ლორენსო 3:6. გათამაშებას 27 ქულით ლიდერობს „ბოკა ხუნიორსი". მას 6 ქულით ჩამორჩება „ხიმნასია" (ლა პლატა).**

ბრაზილიის ჩემპიონატი. მე-19 ტური: ბოტაფოგო — პალმეირასი 3:1; ამერიკა (ბელო ორიზონტი) — ბრაგანტინო 2:0; ამერიკა (ნატალი) — ატლეტიკო (მინეირო) 1:3; კორინტიანსი — ატლეტიკო (პარანაენსე) 4:2; კურიტიბა — სან პაულო 2:1; კრუზეირო — გოიასი 0:2; გუარანი — პარანა 2:0; ინტერნასიონალი — ვასკო და გამა 1:0; ხუვენტუდი — სპორტ რესიფე 1:0; სანტოსი — პორტუგეზა 1:1; ვიტორია — ფლამენგო 1:4; ვიტორია — პონტე პრეტა 2:1. გათამაშებას 38 ქულით ლიდერობს „პალმეირასი". მას 1 ქულით ჩამორჩება „სანტოსი".

**ბელგიის თასი. დანდერლიუ (2) — ანდერლეხტი 3:3, პენალტებით 4:2; მაასლანდი (2) — ინგელმუნსტერი (3) 0:4; კორტრაიკი — გენტი 5:2; ჰარელბეკი — ოსტენდე 3:1 (დ.დ.); სერკლ ბრიუგე (2) — როსელერი (2) 2:1; ეკერენი — ლოკერენი 1:2; ბევერენი — ვესტერლო 0:0, პენალტებით 3:4; სენტ ტრიუდენი — დაინცე (2) — 1:1, პენალტებით 3:1; ლომელი — კაპელენი (2) 3:1; ტონგერენი — მუსკრონი 2:3 (დ.დ.); ლოიველი (2) — სტანდარტი 4:4, პენალტებით 3:4; აალსტი — შარლერუა 4:3; დენდერჰუტონი (3) — ვარეგემი (2) 2:1 (დ.დ.); გენკი — ზულტე (4) 6:2; ლიერსი — მოლენბეკი (2) 8:1; ლიეჟი (2) — ბრიუგე 3:2**

უნგრეთის ჩემპიონატის მე-11 ტური: კიშპეშტი — ბვსც 1:5; ნირშეგი — დიორ ეტო 0:0; ვაშაში — დებრეცენი 2:0; დუნაფერი — უიპეშტი 2:0; ფერენცვაროში — ვაცი 2:2; ჰალადაში — შიოფოკი 2:1; კარულეტი — მტკ 2:1; ვიდეოტონი — ზალაეგერცეგი 1:2. გათამაშებას 26 ქულით ლიდერობს მტკ. მას 4 ქულით ჩამორჩებიან „დიორ ეტო" და „დუნაფერი".

## ალბანეთი

მე-6 ტური: პარტიზანი — ტეუტა 1:1; ტომორი — შკუმბინი 4:0; ვლაზნია — დინამო 1:3; ბესა — სკენდერბიუ 2:1; ბურელი — ბილისი 1:2; ტირანა — ლასი 0:0; ელბასანი — აპოლონია 1:0; ლუშნია — ფლამურტარი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაზნია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:6 | 13 |
| ლუშნია | 6 | 4 | 0 | 2 | 17:8 | 12 |
| ბილისი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:6 | 12 |
| დინამო | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| ტირანა | 6 | 3 | 2 | 1 | 6:8 | 11 |
| ელბასანი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| ტომორი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:3 | 9 |
| პარტიზანი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:9 | 9 |
| ბესა | 6 | 3 | 0 | 3 | 7:9 | 9 |
| ლასი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ტეუტა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:15 | 7 |
| ბურელი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:10 | 6 |
| შკუმბინი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:9 | 6 |
| ფლამურტარი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| აპოლონია | 6 | 1 | 1 | 4 | 3:8 | 4 |
| სკენდერბიუ | 6 | 1 | 0 | 5 | 8:10 | 3 |

## ნორვეგია

25-ე ტური: კონგსვინგერი — ვიკინგი 1:1; მოლდე — სტრომსგოდსეტი 1:3; მოსი — ჰაუგესუნდი 2:0; რუსენბორგი — სოგნდალი 4:0; სტაბეკი — ბრანი 1:1; ვალერენგა — ტრომსო 1:0; ბოდო გლიმტი — ლილესტრიომი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 25 | 20 | 2 | 3 | 78:22 | 62 |
| მოლდე | 25 | 16 | 6 | 3 | 69:31 | 54 |
| სტაბეკი | 25 | 15 | 5 | 5 | 54:29 | 50 |
| ვიკინგი | 25 | 13 | 4 | 8 | 63:43 | 43 |
| ბოდო გლიმტი | 25 | 9 | 9 | 7 | 46:45 | 36 |
| ლილესტრიომი | 25 | 9 | 6 | 10 | 38:45 | 33 |
| ბრანი | 25 | 8 | 8 | 9 | 42:38 | 32 |
| სტრომსგოდსეტი | 25 | 9 | 5 | 11 | 40:56 | 32 |
| ვალერენგა | 25 | 9 | 3 | 13 | 39:48 | 30 |
| მოსი | 25 | 9 | 2 | 14 | 32:52 | 29 |
| ტრომსო | 25 | 7 | 6 | 12 | 38:47 | 27 |
| კონგსვინგერი | 25 | 7 | 4 | 14 | 34:58 | 25 |
| ჰაუგესუნდი | 25 | 6 | 4 | 15 | 40:54 | 22 |
| სოგნდალი | 25 | 4 | 4 | 17 | 26:71 | 16 |

## ესპანეთი

მეორე დივიზიონი

**მალიორკა B 3:4 ატლეტიკო B**

0:1 სესარი (22), 1:1 პოტენცონი (30), 2:1 ლუკე (48), 2:2 სეკურიოსი (55), 3:2 ლუკე (66), 3:3 სეკურიოსი (78), 3:4 ბუკიჩი (88)

*მიმდინარე პრემიერლიგური სეზონის დაწყებამდე ინგლისურ ფეხბურთში გათვითცნობიერებული ქომაგები ბევრს მარჩიელობდნენ იმაზე, თუ ვინ გახდებოდა ქვეყნის ჩემპიონი და საერთოდ, რომელი კლუბები იბრძოლებდნენ ამ საპატიო ტიტულისთვის. უმეტესობა ორ გუნდს ანიჭებდა უპირატესობას — ჩემპიონსა და ასოციაციის თასის მფლობელ ლონდონის „არსენალს" და „მანჩესტერ იუნაიტედს". ზოგიერთები ამბობდნენ, აი, ნახავთ, პირველი „ლივერპული" იქნებაო, ზოგიც, გაზას „მიდლსბროს" ანიჭებდა უპირატესობას. მოკლედ, როგორც ყველა სეზონის წინ, გულშემატკივრები პროგნოზების კორიანტელს აყენებდნენ, მაგრამ არავის უთქვამს, ჩემპიონი შეიძლება ბირმინგემიდან იყოსო. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც „ასტონ ვილა" მანჩესტერში გადაბარგებული ლიდერის — დუაიტ იორკის გარეშე დარჩა. გუნდი ბოლოჯერ 1981 წელს გაჩემპიონდა, შარშანაც ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი და მისი ფავორიტთაგან გამორიცხვაც ბუნებრივი იყო. მაგრამ... მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქმე მთლად ასე არ არის, ხალხმა დაივიწყა კაცის არსებობა, რომელსაც საოცრებების მოხდენა ძალუძს და რომელსაც ჯონ გრეგორი ჰქვია...*

# იღბლიანი ჯენტლმენი

მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრებისა და „ასტონ ვილას" ყოფილი ფეხბურთელი ჯონ გრეგორი ბირმინგემულ კლუბს ჩაუდგა სათავეში, გუნდმა ინგლისის ჩემპიონატში 21 შეხვედრა გამართა, 16 მოიგო, 3 ფრედ დასრულა და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. ამ 21 მატჩიდან „ვილამ" 9 მიმდინარე სეზონში ჩაატარა. ჩაატარა მართლაც უმაღლეს დონეზე და ჯერ მინდორი თავდახრილს არ დაუტოვებია. ასეთი მშვენიერი სტარტის ფუძემდებელი კი, რა თქმა უნდა, სწორედ ჯონ გრეგორია. მის მაღალკვალიფიციურობასა და ოსტატობაზე ისიც მეტყველებს, რომ კლუბის თავმჯდომარე დაგ ელისთან იდეალური ურთიერთობა აქვს. ამაში გასაკვირი თითქოს არაფერია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ელისის ზედმეტად კრიტიკული ხასიათი, რომელმაც უამრავი მწვრთნელი შეიწირა და რომლის გამოც მას მეტად უცნაური მეტსახელი — „მკვლელი" შეარქვეს. თუმც ამჯერად გრეგორიზე ვისაუბრებთ. უფრო სწორად, მის ნაუბარსა და იდეებს გაგაცნობთ.

— ორი თვის წინ ვერავინ დამაჯერებდა, რომ ჩვენ პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერები ვიქნებოდით! დილაობით საკუთარ თავს ვჩქმეტ კიდეც, რადგან თავი სიზმარში მგონია. პირველი მატჩიდან მოყოლებული „ასტონ ვილაში" საოცრად მიმართლებს. მაშინ „ლივერპულს" ვხვდებოდით და დასაწყისშივე გოლი გაგვიტანეს, მაგრამ სტენ კოლიმორის ბრწყინვალე თამაშის და ორი გოლის წყალობით საბოლოო გამარჯვება მოვიპოვეთ. ზუსტად მაშინ დამეუფლა პირველად რაღაც უცნაური გრძნობა — მეგონა, მომავალშიც ასევე გაგვიღიმებდა ბედი, იღბალი სულ ჩვენთან ერთად იქნებოდა და ბევრს მივაღწევდით. თქვენ ვერ წარმოიდგენიათ, რამხელა ბედნიერებაა ჩემთვის მაშინდელი ფიქრების რეალობად ქცევა. თუმც არც ის უნდა დავივიწყოთ, იღბალი რომ უძლიერესს უღიმის. ამით იმის თქმა მინდა, რომ დღევანდელი წარმატებები უდიდესი შრომის შედეგია — ასე აუხსნა თავისი ამჟამინდელი მდგომარეობა მეტად ემოციურმა და ენაწყლიანმა გრეგორიმ სააგენტო „როიტერის" ჟურნალისტს.

შემდეგი თემა, რომელიც ბირმინგემელთა თავკაცმა მიმოიხილა, ისტორიული და ცოტაც დიდაქტიკური გამოდგა.

— 1996 წლის ოქტომბერში ბირმინგემი დავტოვე და უსახელო „უიკომბ უონდერერზის" წვრთნას მივყავი ხელი. მინდოდა, საკუთარი ნებისყოფა გამომეცადა და პრაქტიკა შემეძინა, ვინაიდან პრემიერლიგური კლუბის თავკაცობა ძალიან რთული საქმეა და ამას დიდი გამოცდილება სჭირდება. თავიდან დაბალ დივიზიონში ყოფნას 6-7 წელიწადი ვაპირებდი, მაგრამ ვერ გავძელი, ვერ მოვითმინე ამდენი და ისევ უმაღლეს დონეს დავუბრუნდი. რა თქმა უნდა, ცუდია, როდესაც კაცი რამეს დაგეგმავ და მერე წამოწყებულ საქმეს შუა გზაზე მიატოვებ — ეს დიდი მინუსია, თუმცა რას იზამ, ნაკლი ყველას აქვს.

მიუხედავად გრეგორის თვითკრიტიკისა, მისმა არჩევანმა გაამართლა. თავად არ აღიარებს, მაგრამ, ეტყობა, გულმა უგრძნო, რომ მწვრთნელობის დასაწყებად მზად იყო. მართალია, „ასტონ ვილას" ჩემპიონობაზე ჯერ ნაადრევია საუბარი — პრემიერლიგაში მხოლოდ 9 ტური გაიმართა და თანაც ბირმინგემელები სეზონის წინ ფავორიტებად შერაცხულ „მანჩესტერ იუნაიტედს", „არსენალსა" და „ლივერპულს" არ შეხვედრიან, მაგრამ გუნდმა უკვე ჩაატარა რამდენიმე სერიოზული მატჩი, თანაც ძალიან ძლიერად. თუნდაც „ლიდსთან" ან „უიმბლდონთან" შეხვედრები რად ღირს. რაც უფრო მეტი დრო გავა, „ვილას" ყველა გაორმაგებული ენერგიით და მონდომებით დაუპირისპირდება. ასე იყო ყველგან და ყოველთვის — ლიდერზე ზეწოლა ჟამთა სვლასთან ერთად იზრდება. ამასთან დაკავშირებით გრეგორისაც გააჩნია საკუთარი აზრი.

— რასაკვირველია, მომავალში ყველა იმის ცდაში იქნება, როგორმე ქულა წაგვართვას და ცხრილის სათავიდან ჩამოგვაქვეითოს. ეს ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ცხრილის ფსკერზე ხდება ხოლმე, როდესაც გუნდები ქულების მოსაპოვებლად და უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ერთმანეთს ცოფიანი ძალღებივით ებრძვიან. ვერასოდეს დავივიწყებ იმ დღეს, როცა გასული სეზონის ბოლოში „ევერტონს" ვეწვიეთ. მაშინ ლივერპულელებს ჰაერივით სჭირდებოდათ ქულები. ძნელია იმის წარმოდგენა, რა დღეში იყო სტადიონზე მისული 40 ათასი გააფთრებული ფანი და რა ზეწოლას განიცდიდა მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი ჰოვარდ კენდალი. მისი შემხედვარე დავფიქრდი, რა მძიმე ტვირთია მწვრთნელობა, მით უმეტეს გაჭირვებული გუნდისა და დამეუფლა გრძნობა, რომლის განცდასაც მტერსაც კი არასდროს ვუსურვებ.

ახლა ზემოხსენებულ „მკვლელს" — დაგ ელისს მოვუსმინოთ. კაცს, ვინც ბირმინგემულ კლუბში უკვე 8 მწვრთნელის გამოცვლა მოასწრო. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, „ასტონ ვილას" 44 წლის თავკაცისადმი საქებარი სიტყვები მას არ დაუშურებია.

— დარწმუნებული ვარ, გრეგორი ერთადერთია, ვისაც დროის ამ მცირე მონაკვეთში გუნდის ასე მოძლიერება შეძლო. იგი ღრმად მარწმუნებს თავის პროფესიონალიზმსა და საქმის სიყვარულში. ასევე ვიმედოვნებ, რომ ჯონმა დაასრულა იმ უიღბლო სპეციალისტთა გრძელი სია, ვისი სამუშაოდან გაშვებაც მომიწევდა. გრეგორი ბრიტანეთის საუკეთესო მწვრთნელია! — ასეთი ქება-დიდება ელისისგან მართლაც იშვიათობაა. ეტყობა, ეტყობა კი არა გრეგორიმ ეს საქმითაც დაამტკიცა, იგი დიდი მწვრთნელია, თანაც ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა.

გახდება კი „ასტონ ვილა" ინგლისის ჩემპიონი? შეძლებს გრეგორი ერთი შეხედვით შეუძლებელს? ეს ის კითხვებია, რომლებიც დღეს ბევრს აწუხებს. პირველ რიგში თავად მას, ხოლო შემდეგ ალექს ფერგიუსონს, არსენ ვენგერს და ბევრ სხვას. ამაზე ბირმინგემელი ფანები დღედაღამ ოცნებობენ, მათ მიეცათ შანსი გაიხარონ ისე, როგორც 17 წლის წინ. მათ ისიც სწამთ, რომ გრეგორის ბიჭები, სტენ კოლიმორის მეთაურობით ევროტურნირებშიც გაიბრწყინებენ. არც არის გასაკვირი, რადგან ხალხი არარეალურზე არასდროს ოცნებობს ასე თავდაჯერებით. ბირმინგემელები მართლაც კარგად ბურთაობენ, ჰყავთ ძლიერი დაცვა და არანაკლები შეტევა. და, რაც მთავარია, მათ სათავეში ჯონ გრეგორი უდგათ, კაცი, რომელიც წაგებას ვერ იტანს. მაშ, რატომაც არ უნდა გახდეს „ვილა" პირველი?

— წინ ძალიან გრძელი და რთული გზა გვიდევს, ასე რომ, ამ წუთს მის ბოლოზე ძნელია ლაპარაკი. თუმცა, არ მინდა, ვინმეს ეგონოს, თითქოს პრემიერლიგის ლიდერობა თავბრუს დაგვახვევს, შეგვაშინებს და წაგებას დავიწყებთ. არა, ეს ასე არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. ბიჭებს ვატყობ, არავის არაფერს დაუთმობენ და ძალიან მიხარია, რადგან ფეხბურთში ეს ბევრს ნიშნავს. კაცს თუ ჯიგარი გაგაჩნია, ყველაფერს მიაღწევ. ისე კი, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა აბსოლუტურად თავისუფლად მაძლევს იმის უფლებას, რომ გამარჯვებაზე ვიფიქრო, თანაც ის უცნაური, ამავდროულად ყველაზე სასიამოვნო განცდა, როცა გრძნობ, რომ იღბალი შენთანაა, არასდროს მტოვებს. ბედი კი, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მარტო უძლიერესს უღიმის — ასე ოპტიმისტურად დაასრულა გრეგორიმ ჟურნალისტთან საუბარი და მოედნისკენ გაეშურა, იქითკენ, სადაც მას მოვარჯიშე ფეხბურთელები და, ალბათ, იღბალიც ელიან.

**დავით ძოწენიძე**



სარჩიელის არქივიდან

ჯონ გრეგორი

*გუშინდელ „სარბიელში" ორი მატჩის შედეგი შეცდომით გამცნეთ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.*

*ინგლისის პრემიერლიგაში „ტოტენჰემმა" კი არ მოუგო „ლესტერს 1:0, არამედ პირიქით, ლესტერელებმა 2:1 იმარჯვეს.*

*იტალიის სერია B-ს „კიევო" და „ტერნანა" კი უგოლოდ არ დაცილებიან ერთმანეთს: აქაც მასპინძლებმა მოიგეს — 1:0.*

## იტალია

სერია B

**კიევო 1:0 ტერნანა**

1:0 კერბონე (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრევიზო | 7 | 4 | 3 | 0 | 9:4 | 15 |
| ვერონა | 7 | 4 | 2 | 1 | 12:8 | 14 |
| რავენა | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| ტორინო | 7 | 4 | 1 | 2 | 13:6 | 13 |
| ბრეშა | 7 | 3 | 3 | 1 | 7:3 | 12 |
| კოზენცა | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| ლეჩე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 11 |
| ნაპოლი | 7 | 2 | 4 | 1 | 5:4 | 10 |
| პესკარა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:8 | 10 |
| ტერნანა | 7 | 2 | 3 | 2 | 5:5 | 9 |
| კრემონეზე | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | 9 |
| ატალანტა | 7 | 2 | 3 | 2 | 3:4 | 9 |
| მონცა | 7 | 2 | 3 | 2 | 3:4 | 9 |
| რეჯანა | 7 | 2 | 2 | 3 | 8:7 | 8 |
| რეჯინა | 7 | 1 | 4 | 2 | 5:7 | 7 |
| ჯენოა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 7 |
| კიევო | 7 | 2 | 0 | 5 | 4:9 | 6 |
| ფ. ანდრია | 7 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| ლუკეზე | 7 | 0 | 4 | 3 | 2:5 | 4 |
| ჩეზენა | 7 | 0 | 3 | 4 | 3:8 | 3 |

## ინგლისი

IX ტური

**ლესტერი 2:1 ტოტენჰემი**

0:1 ფერდინანდი (12), 1:1 ჰესკი (37), 2:1 იზეტი (86)

ლესტერი: კელერი, სევიჯი, ჯაპი, სინკლერი, ელიოტი, ტაგარტი (კემპბელი 46, პარკერი 89), იზეტი, ლენონი, ალეტორნი, ჰესკი, კოტი

ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, კალდერვუდი, ფოქსი, ანდერტონი, ფერდინანდი, ედინბურგი, ჟინოლა (არმსტრონგი (67), ვეგა, კემპბელი, კლემენსი (დომინგუში 89)

გაფრთხილება: ფოქსი, ჟინოლა, კლემენსი, სინკლერი

მსაჯი: რაილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასტონ ვილა | 9 | 6 | 3 | 0 | 10:2 | 21 |
| მანჩესტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 18:7 | 17 |
| მიდლსბრო | 9 | 4 | 3 | 2 | 14:9 | 15 |
| ჩელსი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:9 | 15 |
| არსენალი | 9 | 3 | 5 | 1 | 10:4 | 14 |
| ნიუკასლი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:11 | 14 |
| ლივერპული | 9 | 3 | 4 | 2 | 13:10 | 13 |
| ვესტ ჰემი | 9 | 3 | 4 | 2 | 7:8 | 13 |
| ლიდსი | 9 | 2 | 6 | 1 | 9:6 | 12 |
| დერბი | 9 | 3 | 3 | 3 | 7:6 | 12 |
| ლესტერი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 12 |
| უიმბლდონი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:16 | 12 |
| ევერტონი | 9 | 2 | 5 | 2 | 6:6 | 11 |
| ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:16 | 11 |
| ჩარლტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:12 | 10 |
| შეფილდი | 9 | 3 | 0 | 6 | 8:10 | 9 |
| ბლეკბერნი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:12 | 8 |
| ნოტინგემი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:11 | 8 |
| ქოვენთრი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:14 | 8 |
| საუთჰემპტონი | 9 | 0 | 2 | 7 | 4:22 | 2 |

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1970

## გერდ მიულერი

# გოლების მანქანა

*ჯემა ინასარიძე*

1970 წელი იდგა. ევროპული ფეხბურთის ისტორიაში პირველად სწორედ მაშინ მოხდა, ოქროს ბურთიც და ბუციც ერთმა და იმავე ფეხბურთელმა რომ დაიმსახურა. ეს კაცი გერდ მიულერი გახლდათ. გამორჩეული ნიჭის პატრონი, გოლის გატანის საოცარი ალღო და ზუსტი დარტყმა გამოარჩევდა ყველასაგან. თუ ვინმეზე ითქმის ადამიანი-გოლიო, პირველ ყოვლისა, სწორედ გერდ მიულერზე.

ვინ იყო იგი?

ერთი რიგითი გერმანელი, შავტუხა, თავისებური ხასიათით. ზოგჯერ ბოლმიანი, ზედმეტად ამაყი და თავმდაბალიც. რეჟიმის მოყვარული. კაცი, რომელმაც თავის საქმისა იცოდა. საქმე კი მიულერს ერთი ჰქონდა — საქმე, რასაც გოლების გატანა ჰქვია.

მისი მიღწევა დღემდე უნიკალურია. რეკორდი, რომლის დამხობაც, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ მოხერხდება. თავად განსაჯეთ — გერდ მიულერმა გერმანიის ეროვნულ გუნდში 62 მატჩი ჩაატარა და როგორ გგონიათ, რამდენი გოლი გაიტანა? დიახ, არც მეტი, არც ნაკლები — 68! მიღწევა მართლაც, რომ ფენომენალურია.

ერთხელ მიულერს ჰკითხეს, თქვენს მთავარ ღირსებად რა მიგაჩნიათ და იქნებ ნაკლზეც გვითხრათ ორი სიტყვაო. მან კი უპასუხა:

— შორი მანძილიდან კარში რომ ვერ ვურტყამ, ამაზე მწყდება გული. როგორც საჭიროა, ისე არ გამომდის. ღირსებაზე კი, აბა, რა ვთქვა, ალბათ, თქვენც კარგად ამჩნევთ, ახლოდან თითქმის ყველა საგოლე მომენტს ვიყენებ. იღბალი დაარქვით, ალღო, რაც გსურთ, ფაქტია — ასიდან ოთხმოცდათხუთმეტი გამაქვს.

სრული სიმართლეა. გერდ მიულერი მართლაც გოლების მანქანას ჰგავდა, იშვიათად, მას მეტოქის საჯარიმოში ხელსაყრელი მომენტი შეჰქმნოდა და ვერ გაეტანა. ერთი წამალი ვიცი — საჯარიმოში ყველაზე მარჯვედ უნდა ითამაშოო, ამბობდა ფორვარდი, თანაც ამატებდა, ყოველთვის ბოლომდე ბრძოლაა საჭირო. მცველი მუდამ დიდი ყურადღებით კი გეთამაშება, მაგრამ სადღაც რაღაც მომენტში შეცდება. ამით უნდა ისარგებლოო. დამეთანხმებით, წმინდა გერმანული თვისებაა — ბოლომდე ბრძოლა, შანსის გამოყენება.

ასეთი შანსი გერდ მიულერს ბევრჯერ ჰქონია. ყველაზე დასამახსოვრებელი კი 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის 43-ე წუთი იყო.

შინ, მიუნხენში, 72 ათასი გულშემატკივრის თვალწინ, მაშინდელი გფრ ჰოლანდიელებთან აგებდა, მე-2 წუთზე ნეესკენსის პენალტმა სტუმრები დააწინაურა. მერე, ასევე პენალტით, ბრაიტნერმა გაათანაბრა და...

მარჯვენა ფლანგიდან ჰოლანდიელთა საჯარიმოში გერმანელებმა ჩააწოდეს. მიულერი მეურვეთაგან წამით განთავისუფლდა, უცნაური მოძრაობა გააკეთა, მარჯვენა საკმაოდ გაშალა, ბურთი გააჩერა, შემოტრიალდა, დაარტყა და იონგბლადი გამტყდა.

გერმანია მსოფლიოს ჩემპიონია.

ასეთი გოლების გატანა მხოლოდ მიულერმა იცოდა. სადაც მეკარე არ ელოდა, გოლი სწორედ იქ გადიოდა. მიულერის ფეხი ისე არალოგიკურად მოძრაობდა, ბურთს ისე ალოგიკურად ხვდებოდა. მოგვიანებით თავად უთქვამს კიდეც, ყოველი ვარჯიში ჩემთვის ზეიმია, ჯერ ბიჭებთან ერთად ვარ, მერე მარტო ვრჩები, ნახევარი საათი სულ ბურთს ვურტყამ, საგანგებოდ ვვარჯიშობ. ეს მის თამაშზეც აისახებოდა, ერთობლივ ნაკრებში მოირგებდა ცამეტნომრიან მაისურს, გაიქცეოდა, გამოიქცეოდა, ბოლოს კი ბურთს იქ დახვდებოდა, სადაც საჭირო იყო. გულთმისანი ხომ არა ხარ, როგორ ხვდები ბურთის მიმართულებასო — ჰკითხა მორიგი გოლის მერე ერთმა თანამემამულემ — რა გულთმისნობა ამას სჭირდება? მარტივია. გაიხედე, გამოიხედე, პარტნიორის მოძრაობას დააკვირდიო — იყო პასუხი. ერთი შეხედვით არც არაფერი, მიულერმა მართლაც ღია ფერებში დახატა გოლის ეპიზოდი, მაგრამ სხვა რატომ ვერ ახერხებდა?

ისე, სიტყვამ მოიტანა და დიდი მეგოლის პარტნიორებზე, ცოტაც საფეხბურთო კარიერის დასაწყისზეც ვთქვათ.

იგი სრულიად ახალგაზრდა, 18 წლისა იყო, მოყვარულთა გუნდში, „ნორდლინგენში" რომ დაიწყო „თავისი საქმიანობა". იქ ორი სეზონი დაჰყო, გოლები პანტა-პუნტით გაჰქონდა და ერთ მშვენიერ დღესაც მის ოჯახში ტელეფონი ახმაურდა.

— გერდ, გინდა „ბაიერნში" ითამაშო? — იყო კითხვა.

მიულერს დიდხანს არც უფიქრია, აიკრიფა გუდა-ნაბადი და 20 წლის ჯეელი დიდ კლუბს ეწვია. ტანმორჩილი ფორვარდი, მაინც და მაინც ვერც უზადო ტექნიკით დაიტრაბახებდა.

იმხანად „ბაიერნის" მწვრთნელი იუგოსლაველი ზლატო ჩაიკოვსკი გახლდათ. რამდენიმე ვარჯიშზე დააკვირდა მიულერს და უთხრა, „საშინელი" ინტუიცია გაქვს, ჰა, ბურთი და მოედანი, მიდი, შენგან მხოლოდ გოლებს ვითხოვო.



### გერჰარდ (გერდ) მიულერი

დაიბადა 1945 წლის 3 ნოემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ნორდლინგენში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,74
წონა: 76 კგ
კლუბები: „ნორდლინგენი" (გფრ, 1962-64); „ბაიერნი" (გფრ, 1964-79); „ფორტ ლოდერდეილ სტრაიკერსი" (აშშ, 1979-81)
ტიტულები: გფრ-ის ჩემპიონი — 1969, 72, 73, 74; გფრ-ის თასი — 1966, 67, 69, 71; ჩემპიონთა თასი — 1974, 75, 76; თასების მფლობელთა თასი — 1967; საკონტინენტთაშორისო თასი — 1976; მსოფლიოს ჩემპიონი — 1974; ევროპის ჩემპიონი — 1972; მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1970; მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 1970 (10 გოლი); ოქროს ბუცის მფლობელი — 1970 (38 გოლი), 1972 (40 გოლი)
ნაკრებში 62 მატჩში გაიტანა 68 გოლი (1966-74)

მანაც დაიწყო. „ბაიერნის" შედეგიანობა საგრძნობლად გაიზარდა. გოლების უმეტესობა მიულერს გაჰქონდა.

იმ წელიწადს კი, რომ ვთქვით ოქროს ბუცი დაიმსახურაო, გოლების მანქანამ ბუნდესლიგის ჩემპიონატის 34 მატჩში 38 გოლი გაიტანა. ეს იყო საოცრება, წარმოუდგენელი რამ, იტყვიან მოგვიანებით გერმანელი ჟურნალისტები.

მიულერი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერას პარტნიორებსაც უნდა უმადლოდეს.

ჯერ კიდევ „ბაიერნში", სხვა თუ არავინ, მიულერს ზეპ მაიერი და ფრანც ბეკენბაუერი დახვდნენ. ამათ გვერდით კი, გინდა არ გინდა, დიდ ფეხბურთელად გაიზრდები.

მერე ნაკრები ავიღოთ. 1974 წელს ბრაიტნერი, გრაბოვსკი, ნეტცერი, ოვერატი, ჰოლცენბაინი, ჰიონესი, შვარცენბეკი, აი, იმათი არასრული სია, ვის პარტნიორადაც მიულერი ითვლებოდა, ბეკენბაუერ-მაიერ დამატებული.

1970 წლის შემადგენლობას არ იკითხავთ? მსოფლიო ჩემპიონობისთვის გამზადებული გერმანიის ნაკრები ნახევარფინალში დამარცხდა იტალიელებთან და ეს მატჩი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული გამოდგა. შნელინგერი, შულცი, ზეელერი, ფოგთსი, ვოლტერი, ამათი მწვრთნელი ლეგენდარული ჰელმუტ შიონი გახლდათ. უეჭველია, ასეთი ფეხბურთელების ჩრდილში რომ არ მოექცე, დიდი ოსტატი უნდა იყო. მიულერმა ეს შეძლო, შეძლო კი არა, ზოგიერთზე მაღლაც კი იდგა.

ზემოთ გერმანია — იტალიის დრამატული მატჩი რომ ვახსენე, სწორედ გერდ მიულერის ორმა გოლმა შესძინა ამ თამაშს დრამატიზმი. დამატებით დროში ალბერტოზის კარში გატანილმა გოლებმა მსოფლიო აალაპარაკა. ყველა დაარწმუნა, რომ იმავე წლის საუკეთესო ევროპელი ფეხბურთელის გამოკითხვაში გერდ მიულერი გაიმარჯვებდა. თანაც ისიც გასათვალისწინებელია — 10 გოლით გერმანელი მსოფლიოს 1970 წლის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მერე ტრადიციულად „ფრანს ფუტბოლმა" ჟურნალისტები გამოკითხა. გერდ მიულერმა ყველას აჯობა, 77 ქულა დააგროვა, ბობი მური, ლუიჯი რივა, ფრანც ბეკენბაუერი და სხვა დიდი ფეხბურთელები უკან მოიტოვა.

ეს უკვე მწვერვალი იყო.

მიულერი შინ ზის. წარსულს იხსენებს:

— ჩემს დროს ბრწყინვალე ფეხბურთელები თამაშობდნენ. ფეხბურთი უფრო სანახაობრივი იყო. დღეს კი, თანამედროვე ფეხბურთის ატანაც არ შემიძლია. როცა გერმანიის ნაკრების თამაშია, შვილიშვილს ვეფერები და სხვა არხზე მულტფილმებს ვუყურებ.

ეს 80-იანი წლების დასაწყისი იყო. მაშინ, როცა „გოლების მანქანამ" იგრძნო, ჭკუა ძველებურად რომ აღარ უჭრიდა და ფეხბურთისთვის მოხუცდა. მას კი ძველ მიულერად დარჩენა უნდოდა, ისეთად, როგორიც გულშემატკივრებს ახსოვდათ.

...და შეეშვა იგი ფეხბურთს. ბუცები, რომლებსაც სხვათა შორის, სეზონის განმავლობაში ორ-სამჯერ იცვლიდა, მოისროლა, სავარძელში მოკალათდა და თქვა: არასოდეს ვეწეოდი სიგარეტს, ღვინოს ათასში ერთხელ თუ მოვწრუპავდი, რეჟიმს ვიცავდი, ახლა კი დროა... ჰო, ლუდი მიყვარდა, მაგრამ ერთ კათხაზე მეტს მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისას ვსვამდიო.

„გოლების მანქანამ" თავის დრო მოჭამა. მისი რეკორდის გაუმჯობესებას კი კიდევ კარგა ხანს მოუნდებიან. 62 თამაშში 68 გოლი? საოცრებაა, მეტი არაფერი.

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (1,2-3,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. III ტური

21 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| პორტუ (პორტუგალია) — კროაცია (ხორვატია) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — გალათასარაი (თურქეთი) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბილბაო (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ინტერი (იტალია) — სპარტაკი (რუსეთი) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| რეალი (ესპანეთი) — შტურმი (ავსტრია) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ბრონდბიუ (დანია) — მანჩესტერი (ინგლისი) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ბაიერნი (გერმანია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| არსენალი (ინგლისი) — დინამო (უკრაინა) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ლანსი (საფრანგეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჰიკ (ფინეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### თასების თასი. მერვედფინალი

22 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლაციო (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (4,0-1,15) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია) | (1,2-3,5) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი) | (2,0-1,5) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პანიონისი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლოკომოტივი (რუსეთი) — ბრაგა (პორტუგალია) | (1,25-3,1) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ჩელსი (ინგლისი) — კოპენჰაგენი (დანია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-15 ტური

21 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი — სანდერლენდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — ქუინზ პარკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი

21 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ფიურტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**421. ზურაბ ჩხიკვაძე.** თბილისი. ინჟინერი. 48 წლის. მწვრთნელი: ანდრო ჟორდანია, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. შოთა იამანიძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ ბარქაია, ზაურ კალოევი, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი
**422. ნუგზარ მჭედლიშვილი.** ქუთაისი. ინჟინერი, 49 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტრეველი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. გივი ჩოხელი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ზაურ კალოევი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**423. დენი გოგორელიანი.** თბილისი. ინჟინერ-მშენებელი. 59 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. გიორგი ქინქლაძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, გიორგი ქინქლაძე, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი
**424. ნუგზარ ბოკუჩავა.** თბილისი. ინჟინერ-მშენებელი. 53 წლის. მწვრთნელი: 1. კახი ასათიანი, 2. სერგო კოტრიკაძე, 3. გერმან ზონინი
ფეხბურთელი: 1. რევაზ ჩელებაძე, 2. დავით მუჯირი, 3. ფირუზ კანთელაძე, 4. გურამ პეტრიაშვილი, 5. ლევან ნოდია
გუნდი: მალხაზ გაგოშიძე, გიორგი ჭილაია, ფირუზ კანთელაძე, ჯემალ ზეინკლიშვილი, დავით მუჯირი, გოჩა მაჩაიძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, რევაზ ჩელებაძე, ფირუზ რეხვიაშვილი, ლევან ნოდია
**425. ზურაბ ტუღუში.** ბათუმი. სტუდენტი. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. სერგო კოტრიკაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა არველაძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი, თემურ ქეცბაია, ავთანდილ ღოღობერიძე
**426. თორნიკე გეთიაშვილი.** თბილისი. მოსწავლე. 7 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, მიხეიდ მესხი
**427. ლევან ჩხეიძე.** თბილისი. ინჟინერ-მექანიკოსი. 80 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**428. თეიმურაზ ბოდუაძე.** თბილისი. ეკონომისტი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი
**429. გიორგი პანაძე.** თბილისი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ლევან კობიაშვილი, დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია, სლავა მეტრეველი, შოთა არველაძე
**430. კობა პანაძე.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიაინ, შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, რამაზ შენგელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე
**431. გოჩა პანაძე.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გივი ნოდია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე
**432. ლევან ედილაშვილი.** თბილისი. ფეხბურთელი. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. გიორგი ქინქლაძე, 5. შოთა არველაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, კახი ცხადაძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, სლავა მეტრეველი, შოთა არველაძე
**433. თამაზ კვანტალიანი.** თბილისი. უმუშევარი. 33 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**434. ბექა ტალაბაძე.** ქუთაისი. მოსწავლე. 10 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე
**435. გიორგი ლომიძე.** საბერძნეთი. დიზაინერი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. გივი ფირცხალავა
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ვიტალი დარასელია, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი
**436. სულხან იაშვილი.** თბილისი. ინჟინერ-მექანიკოსი. 53 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**437. მერაბ აბსანძე.** ფოთი. ეკონომისტი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევარ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**438. არჩილ კვარეიშვილი.** ფოთი. ეკონომისტი. 29 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**439. ავთანდილ ესაკია.** ფოთი. ინჟინერი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. გიორგი ქინქლაძე, 2. რამაზ შენგელია, 3. დავით ყიფიანი, 4. მიხეილ მესხი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თამაზ კოსტავა, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რევაზ შენგელია, მიხეილ მესხი
**440. მორის ჯანჯღავა.** ფოთი. ინჟინერი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ჯონი ჯანელიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. რამაზ შენგელია, 3. შოთა არველაძე, 4. ვლადიმერ გუცაევი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, შოთა არველაძე, მიხეილ მესხი
**441. გია გოგინავა.** ფოთი. ექიმი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე,. მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**442. ნონა გვაძაბია.** ფოთი. დიასახლისი. 39 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. გიორგი ქინქლაძე, 2. გოჩა ჯამარაული, 3. გიორგი ნემსაძე, 4. შოთა არველაძე, 5. თემურ ქეცბაია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, გიორგი ნემსაძე, გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული, ვლადიმერ გუცაევი, შოთა არველაძე, მიხეილ მესხი
**443. გია სიხარულიძე.** ფოთი. მენეჯერი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. დავით ყიფიანი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მიხეილ მესხი, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**444. გიორგი შელიავიკი.** ფოთი. მენეჯერი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. გიორგი ქინქლაძე, 3. დავით ყიფიანი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**445. მამუკა დარჩია.** ფოთი. მძღოლი. 27 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. რამაზ შენგელია, 3. დავით ყიფიანი, 4. გიორგი ქინქლაძე, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, გელა კეტაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, რევაზ შენგელია, მიხეილ მესხი
**446. ბიძინა სუმბაძე.** თბილისი. არქიტექტორი. 69 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**447. ნოდარ ჯაფარიძე.** თბილისი. პედაგოგი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. გივი ჩოხელი
გუნდი: ალექსანდრე დოროხოვი, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**448. გულბათ ტორაძე.** თბილისი. მუსიკათმცოდნე. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. გიორგი ჯეჯელავა, მურთაზ ხურცილავა, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი ჯეჯელავა, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**449. ბორის ჭიაურელი.** თბილისი. პროფესორი. 82 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, დავით ყიფიანი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი
**450. ვანო ჭიაურელი.** თბილისი. ფილოსოფოსი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. დავით ყიფიანი
ფეხბურთელი: 1. დავით ყიფიანი, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო

## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები

# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ______
2 ______
3 ______

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______
6 ______
7 ______
8 ______
9 ______
10 ______
11 ______

სახელი ______
გვარი ______
ასაკი ______
პროფესია ______
მისამართი ______

# ქართველთა მგზავრავი სიდნეიში

*ჩვენს მკითხველს, ალბათ, ეხსომება ამას წინათ „სარბიელში" გამოქვეყნებული ერთი სკანდალური ამბავი, რომელიც ავსტრალიაში მიმავალ საქართველოს სპორტულ დელეგაციას შეემთხვა. კერძოდ, საუბარი იყო ბატუტზე მხტომელთა მსოფლიო ჩემპიონატზე მიმავალ რუსუდან ხოფერიასა და ამავე სახეობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე მივლინებულ ჩვენი ქვეყნის დელეგაციის წევრთა ვიზების გაუფორმებლობაზე. ისიც გაუწყეთ, რომ საქართველოს ეოკ-ის ჩარევით ეს საქმე მოგვარდა, საქართველოს სამკაციანი დელეგაცია ავსტრალიას გაემგზავრა და იქაური შედეგებიც გაგაცანით.*

*სიდნეიში აკრობატების ვიზიტს დაემთხვა ჩვენი ქვეყნის ეოკ-ის გენერალური მდივნის, ემზარ ზენაიშვილის ჩასვლაც, რომელიც მომავალ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით მის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებთან „არკვევდა ურთიერთობებს". ემზარ ზენაიშვილთან ჩვენი ინტერვიუც ამ თემას შეეხება, მაგრამ მასთან საუბარი სწორედ იმ სკანდალური ისტორიით დავიწყეთ.*



ვიქტორ სანეევი და ემზარ ზენაიშვილი

**— ბატონო ემზარ, ბატუტისტების ისტორიასთან დაკავშირებით თქვენ სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსაც გაუგზავნეთ ფაქსი, რომელშიც წერდით: „სინანულით უნდა გაცნობოთ, რომ ავსტრალიაში ჩემი დაგეგმილი ვიზიტი შესაძლოა ჩაიშალოს ჩვენს მიერ გამოთქმული პროტესტის გამო იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მოსკოვში ავსტრალიის საელჩოს უარს ვიზების თაობაზე საქართველოს დელეგაციისადმი..." საინტერესოა, ამის მერე როგორი რეაქცია დახვდათ ავსტრალიაში, კერძოდ სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში?**



ვიქტორ სანეევი და სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ეოკ-ებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელი ალა სალემი

— ჩემი პროტესტი და საერთოდ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მსგავსი შინაარსის ფაქსები განპირობებული იყო არა მხოლოდ ამ კონკრეტული შემთხვევის გამო, არამედ მომავალზე ფიქრითაც, რათა ასეთი რამ აღარ განმეორდეს. იქიდან გამომდინარე, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშების მოახლოებასთან ერთად ავსტრალიაში მრავალი საერთაშორისო სპორტული ღონისძიება გაიმართება და საქართველოს დელეგაცია ვიზის მიღებაზე ყოველი განაცხადისას ტექნოლოგიურ სირთულეებს თუ წააწყდება, მსგავსი შემთხვევები მეტად დიდ ზიანს მიუტანს ქართველ სპორტსმენთა მზადების და ვარჯიშის პროცესს. ამანაც განაპირობა ჩვენი საპროტესტო ფაქსები მოსკოვში ავსტრალიის საელჩოში, ბატუტზე ხტომის საერთაშორისო ფედერაციაში, სიდნეიში ამ სახეობის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში და სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტშიც. რაც შეეხება მათ რეაქციას, ჩვენმა ფაქსებმა ისინი შეაცბუნა და იქ ჩასულებს კიდევ ერთხელ ბოდიშები გვიხადეს.

**— მაინც, რა იყო თავდაპირველად ვიზებზე უარის თქმის მიზეზი?**

— ის, რაც უკვე დაიწერა „სარბიელში". კერძოდ, ვიზებზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც თავად მოგვწერეს, გაუთვალისწინებიათ ჩვენს საცხოვრებელ რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა", რასაც ისინი დაუეჭვებია ჩვენი დელეგაციის წევრთა სამშობლოში შემდგომ დაბრუნებაზე.

**— კი მაგრამ, აკი ამბობენ, ოღონდ ვინმემ ისურვოს ავსტრალიაში სამუშაოდ ჩასვლა და უარს როგორ ეტყვიანო, ზოგს თურმე მშენებლობაზე ეპატიჟებიან, ზოგს — ფერმაში, თანაც ბინითაც უზრუნველყოფთ, ჩასაცმელ-დასახურითაც და არც სასმელ-საჭმელი მოგაკლდებათო.**

— კარგია, რომ ამას გვეკითხებით და საშუალებას გვაძლევთ ხალხს გავაგებინოთ — სისულელეა ყველაფერი, დიდი სისულელე! საქართველოში ხალხს ატყუებენ და ისინიც იჯერებენ, რომ იქ ჩასულთ ლამის პირდაპირ ტრაპთან დახვდებიან და სამუშაოს ლანგრით მიართმევენ. ხმები დაყარეს, თითქოს ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი ხალხს აგროვებდეს სიდნეიში ქართული სახლის, ოლიმპიური სოფლისა თუ სასტუმროების მშენებლობისთვის. ჰოდა, ისინიც გვირეკავენ, მოდიან... არის რაღაც ფირმები, რომლებიც აგროვებენ 40-40-კაციან ჯგუფებს და ხალხი მოტყუებით ჩაჰყავთ ავსტრალიაში. ზოგმა ინგლისურიც იცის და ჯიბეში ორი და სამი უმაღლესი განათლების დიპლომიც უდევს, მაგრამ შავ სამუშაოზე ერთ ადგილსაც ვერ შოულობს. და დადის ასე ბედის ანაბარად მიტოვებული ხალხი და ემალება პოლიციას. რაღა შორს წავიდეთ, აგერ ჩვენი ვიქტორ სანეევის მაგალითი ცხვირწინ არ გვაქვს? მე მას დიდხანს ვესაუბრე ინტერვიუც ჩავიწერე და გავამზადე. ამ დღეებში გაახლებთ კიდეც და მის ამბავს მკითხველი იქ გაეცნობა, აქ კი იმას გეტყვით, რომ კოლეჯში, სადაც მას კონტრაქტი ჰქონდა, სამუშაოს ვადა გაუთავდა. ახლა ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, უმაღლესი განათლების მქონე პიროვნება ოჯახებში პიცას დაატარებს გასაყიდად. გაჭირვების გამო თავისი ოლიმპიური მედლების გაყიდვის თაობაზე გაზეთში განცხადებაც გამოუქვეყნებია. ეგზომ ცნობილ და თავის საქმეში ავტორიტეტულ პიროვნებას რომ ასე გაუხდება საქმე, წარმოიდგინეთ, რა დაემართება ავსტრალიაში საშოვარზე ჩასულ რიგით მოქალაქეს. რაღაც ერთი-ორ ბედნიერ გამონაკლისზე ილუზიები არავინ უნდა აიგოს.

**— რაკი ყოველივე ამის გამო ავსტრალიელებს გაურთულებიათ ვიზების გაცემის საკითხი, საინტერესოა, როგორ იქნება ჩვენი ოლიმპიელების ოლიმპიურ თამაშებზე სტუმრის სტატუსით ჩასულთა თუ ჟურნალისტების აკრედიტაციის საქმე?**

— არა მგონია, ამ მხრივ რაიმე პრობლემები წარმოიქმნას. სიდნეიში მათი აკრედიტაცია დაახლოებით ისევე მოხდება, როგორც ნაგანოში იყო. მაშინ ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს იაპონიის საელჩოსთან საქმე არ გვქონდა და ყველაფერი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მეშვეობით მოგვარდა. სიდნეიშიც ასე იქნება. თუმცა, აკრედიტაციის საქმე მაინც ოდნავ რთული იქნება ნაგანოსთან შედარებით, რადგან შემოწმების ერთი შუალედური კვანძი ცოტა გაამკაცრეს. და მაინც, ამ მხრივ ჩვენ პრობლემები არ გვექნება. სამაგიეროდ, ეტყობა პრობლემები ექნებათ არააკრედიტებულ პირებს, მათ შორის ტურისტებსაც.

**— ხომ არ გადაგიწყვეტიათ ჩვენი ქვეყნიდან სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა და სხვათა ცხოვრების საკითხი, ქართული სახლის პრობლემა?**

— ჩემი ვიზიტი ამ მხრივ ერთგვარ დაზვერვას ითვალისწინებდა. საქართველოს ჟურნალისტთა და ჩვენი ეოკ-ის ფინანსური შესაძლებლობები მეტად მცირე რომ არ იყოს, საფიქრალი და დასაზვერი არაფერი იქნებოდა. ჟურნალისტები სასტუმროში დაბინავდებოდნენ, ჩვენ ქართველები სახლისთვის ვიქირავებდით რომელიმე შესაფერის ფართობს და ყველაფერი დამთავრდებოდა. მაგრამ ეს მეტად სერიოზული პრობლემაა. სიდნეი, თუ არ ვცდები, სიძვირით მსოფლიოში მესამე ქალაქია. ყოველ შემთხვევაში, ძალზე ძვირი ქალაქი გახლავთ. ამიტომ, ცხადია, ჩემი ერთი ჩასვლით ეს საქმე ვერ მოგვარდებოდა.

სულ სხვა იყო ატლანტაში. იქ ცხოვრობდნენ ჩვენი თანამემამულენი, გვყავდა იქაური მეგობრებიც, რომლებმაც საერთო ძალით ორივე პრობლემა და სხვაც მრავალი გადაგვიწყვიტეს. სიდნეიში კი ასეთები არა გვყავს. არის რამდენიმე ჩვენი თანამემამულე, მაგრამ ფინანსურად ვერ გამოირჩევიან, თუმცა, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში დახმარებას გვპირდებიან. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ქართული სახლის პრობლემის მოგვარებაში თუ ჩვენი სახელმწიფო არ დაგვეხმარა, ისე ვერას გავხდებით. არადა, ამგვარი სახლები ექნებათ ოლიმპიადის მონაწილეებს, რასაც პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

**— როგორც ჩანს, საქართველოს ეოკ-ის ატაშე ვიქტორ სანეევი ამ საკითხების მოგვარებაში ვერ დაგვეხმარება.**

— როცა მას ამ მისიის შესრულება ვთხოვეთ, გაუხარდა და დაგვთანხმდა, თუმცა იქვე გვითხრა, მეგონა ასეთი საქმისთვის მხოლოდ ფულიანი კაცი იყო საჭიროო. ამ მხრივ წელგამართული და შეძლებული კაცი, გიყვარდეს, კარგია, მაგრამ ჩვენთვის ვიქტორ სანეევის სახელი უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანია. სანეევს ავსტრალიის სპორტულ წრეებში იცნობენ და პატივს სცემენ მის ავტორიტეტს. ბევრს ჩვენი ოლიმპიური კომიტეტისა შურს, რომ ავსტრალიაში გვყავს ასეთი სახელოვანი ოლიმპიური ატაშე. სიდნეიში ვიქტორი სულ ჩემს გვერდით იყო და მეხმარებოდა. მომავალშიც ასე იქნება.

**— ალბათ, სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისსაც გაეცნობოდით.**

— რა თქმა უნდა. ჩემი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი ესეც იყო, მაგრამ ამაში ის როდი იგულისხმება, რომ მე მათი სამუშაოების მიმდინარეობისთვის რაღაც ინსპექცია უნდა ჩამეტარებინა. ეს რა ჩემი საქმეა.

ჩემი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი იყო გამეცნო სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ის თანამშრომლები, რომლებთანაც თითქმის ორი წელი გვექნება საქმიანი ურთიერთობა ტელეფონით, ფაქსით, ინტერნეტით თუ პირადი კონტაქტებით. პირადი ურთიერთობა მაინც სულ სხვაა. თავის დროზე ამგვარმა კავშირმა ბევრი პრობლემა იოლად მოგვიხსნა ლილეჰამერში, ატლანტაშიც, ნაგანოშიც. ამგვარი ვიზიტები ჩვენი მოგონილი არ არის. ეს არის ტრადიციული ვიზიტები, რომლის დროსაც ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ყველა სამსახურის წარმომადგენლები ხვდებიან ეოკ-თა წარგზავნილებს. საორგანიზაციო კომიტეტის სამსახურები კონტინენტების მიხედვით არიან დაყოფილნი და იქ ყველა ქვეყანას თავისი კურატორი ჰყავს. ჩვენი ვიზიტისას ანალოგიური მისიით იყვნენ ჩასული სლოვაკეთის, ლუქსემბურგისა და ისრაელის წარმომადგენლები. სლოვაკეთი 8 კაცით იყო წარმოდგენილი, საქართველოდან კი მხოლოდ მე ვიყავი, თანაც პირველად. არადა, მათ ჩვენზე მეტი ოლიმპიური ამბიციები არ გააჩნიათ. ბევრმა შეძლებული ქვეყნის წარმომადგენელმა სიდნეიში უკვე 4-5 ასეთი ვიზიტი მოაწყვეს. სიდნეიში ჩემი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი იყო გამეგო ის, თუ სად და რა პირობებში იცხოვრებენ და ივარჯიშებენ ჩვენი სპორტსმენები.

ოლიმპიური სოფელი ქალაქიდან ცოტა მოშორებითაა, ტრანსპორტით ასე 30-40 წუთის სავალზე. თუმცა, ასეც უნდა იყოს. ოლიმპიურ სოფლამდე გაიყვანეს და უკვე მუშაობს მეტროს ხაზი. ოლიმპიური სოფელი კოტეჯური ტიპისა იქნება. მისი ნაწილი უკვე აშენებულია და ჩვენთვის „მამულები" დავიბევეთ. აქ 15300 სპორტსმენისა და მწვრთნელისთვის 2-3-სართულიანი სახლების კომპლექსი შენდება. თითო ოთახში ორ-ორი სპორტსმენი იცხოვრებს. სიდნეის ოლიმპიური სოფელი ატლანტისაზე გაცილებით უკეთესი იქნება, დაახლოებით ისეთი, როგორც ნაგანოში იყო. მასპინძლები გვპირდებიან, რომ ჩვენი ოლიმპიური სოფელი იქნება ერთ-ერთი საუკეთესო, რომელიც აქამდე ყოფილა.

ოლიმპიური სოფლის გვერდით არის ის ძირითადი სპორტული ბაზები, რომლებიც თამაშებს უმასპინძლებენ. ასე რომ, სპორტსმენებს შორის სიარული არ დასჭირდებათ. აი, მოჭიდავეთა, ძიუდოისტთა, მოკრივეთა, ძალოსანთა დარბაზები, სადაც ჩვენი ათლეტების ძირითადი ბირთვი იასპარეზებს, ქალაქის ცენტრში მდებარე სპორტულ კომპლექსში იქნება.

სიდნეის ბაზების 70 პროცენტი დღეს უკვე მზადაა შეჯიბრებათა სამასპინძლოდ. ბაზების ნახევარზე მეტი აშენებული რომ არ ყოფილიყო, ისე მათ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას არც მისცემდნენ.

მშენებარე ობიექტებს შორისაა მთავარი ოლიმპიური სტადიონი, სადაც გაიმართება ოლიმპიადის საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალები, მძლეოსანთა შეჯიბრება და ვაჟ ფეხბურთელთა ფინალური შეხვედრა. სტადიონი 110 ათას ადგილიანი ტრიბუნით შენდება. თამაშების დამთავრების მერე, ისევე როგორც ატლანტაში, მას ჩაუტარებენ რეკონსტრუქციას, რის შედეგადაც იგი 70 ათას ადგილიან სარაგბო სტადიონად გადაკეთდება.

**— კაცს რომ სალაპარაკო არაფერი აქვს, ამინდზე საუბრობს. ახლა სწორედ სიდნეის ამინდზე გადავიდეთ, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ სასაუბრო თემა ან საქმე დაგველია, არამედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ამინდის პრობლემა ოლიმპიურ თამაშებზე ყველას აღელვებს.**

— მართალი ბრძანდებით. ჩემი ვიზიტისთვის შემოდგომა შემთხვევით არ შემირჩევია. სიდნეის ოლიმპიური თამაშები სექტემბერში გაიმართება და მინდოდა პირადად მენახა, თუ ამ პერიოდში იქ როგორი ამინდებია. სექტემბერში იქ გაზაფხულის დასაწყისია. ჩვენთვის ისიც უჩვეულოა, რომ ამ პერიოდში 18 საათზე იქ უკვე ბნელა, სამაგიეროდ გაცილებით ადრე თენდება. ამინდი დაახლოებით ისეთია, როგორც ჩვენთან შუა ნოემბერში. როგორც ვიქტორმა მითხრა, ჩვეულებრივ ამ დროს ამინდი ისეთი ცვალებადია, როგორც სოხუმში — ხან წვიმს, ხან ქარია, ხანაც მზე ანათებს. ჩემი იქ ყოფნისას, მაგალითად, 16 გრადუსი იყო. სვიტერითა და ქურთუკით დავდიოდი. დღეში ტემპერატურა 5-6 გრადუსით იცვლებოდა. ასე რომ, ეს უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა სპორტსმენებმაც და იმ მოდელიორებმაც, რომლებიც სეოკ-ის მიერ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი დელეგაციის წევრთათვის სააღლუმო და სპორტული ტანსაცმლის დასამზადებლად უკვე გამოცხადებულ კონკურსში ჩაებმებიან.



ასეთი იქნება სიდნეის ოლიმპიური სტადიონი

**— ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სიდნეიში მოეწყობა თუ არა ახალგაზრდული საერთაშორისო ბანაკი?**

— დიახ, ასეთი ბანაკი მოეწყობა სენ ჯოზეფის კოლეჯში. ეს სწორედ ის კოლეჯია, სადაც ვიქტორ სანეევი 5 წელი მოღვაწეობდა. ამ კოლეჯში მთელი მსოფლიოდან 800-მდე ახალგაზრდა მოიყრის თავს — თითო ქვეყნიდან თითო გოგონა და ბიჭი. მაგრამ ეს ძვირი სიამოვნება იქნება, რადგან, ვთქვათ ატლანტისა და ნაგანოს ოლიმპიური თამაშებისგან განსხვავებით, მათ სიდნეიში ცხოვრების საფასურიც უნდა გადაიხადონ.



მშენებარე სიდნეის ოლიმპიური სტადიონი

**ავთანდილ გურასაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# ყოჩებმა ისევ იძალეს

**დინამო 6:49 ყოჩები**

დინამო: 2 ს — აბდუშელიშვილი

ყოჩები: 7 ლ — სოფრომაძე, ხურცილავა, კობერიძე (2), პეტრიაშვილი, ლიპარტელიანი, ჭელიძე; 7 გ — ტყეშელაშვილი

პრაქტიკული თვალსაზრისით ამ თამაშს სატურნირო ცხრილისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ერთმანეთს გამოკვეთილი ლიდერ-აუტსაიდერი ხვდებოდნენ. „ყოჩები“ იმდენით უსწრებს „დინამოს“, რომ ამ მატჩის შედეგი ცხრილში ცვლილებას ვერ გამოიწვევდა. ეგ იყო, მოგება არც ერთს აწყენდა, განსაკუთრებით კი გამარჯვებამოწყურებულ „დინამოელებს“, თუმცა მათი გამარჯვება ნაკლებმოსალოდნელი იყო და საბოლოოდ ასეც მოხდა — „ყოჩებმა“ მართლაც მოიგო, თუმცა გადავლით ვერ გადაუარა მეტოქეს. არადა, ანგარიში თითქოს საწინააღმდეგოს ამტკიცებს, მაგრამ გამარჯვებულმა საგრძნობი უპირატესობა მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლოს მოიპოვა, როცა დროის მცირე ინტერვალებით ოთხი ლელო გაიტანა. ვიდრე დინამოელები მედგრად ედგნენ მრისხანე მეტოქეს და უბრძოლველად არაფერს უთმობდნენ, „ყოჩებმაც“ ლელოების გასატანად გვარიანი ჯაფა გასწიეს: აი, პეტრიაშვილის ლელოს შემდეგ კი „დინამო“ როგორღაც მოეშვა და მეტოქეს უფრო იოლად აძლევდა ანგარიშის გაზრდის საშუალებას. შეიძლება მათ ფიზიკური მომზადება არ ეყოთ, რაც გასაკვირი არცაა, რადგან სულ 15 კაცი ჰყავდათ და შეცვლები ვერ გააკეთეს.

თვითონ თამაში ძალიან ხისტი, ერთგვარად ჯაჯგურა გამოდგა. მიუხედავად მოგებისა, ეს მაინც არ იყო ის „ყოჩები“, რომელსაც ბოლო წლებში შევეჩვიეთ. ნაკრებში რვა კაცის მივლინება ნებისმიერ გუნდს დაეტყობა. ჰოდა, „ყოჩების“ თამაშსაც აკლდა მათთვის დამახასიათებელი მახვილგონივრულობა. საფრანგეთში წასულთა შემცვლელებიც ხშირად და უხეშად ცდებოდნენ, მაგრამ „დინამოს“ მოსაგებად ძალა მაინც ეყოთ.

თამაში „ყოჩების“ შეტევით დაიწყო და უკვე პირველივე წუთებზე მრავალსვლიანი კომბინაცია სოფრომაძემ ლელოთი დაასრულა. ასეთ თავგანწირვას იგი კიდეც „შეეწირა“, რადგან ფეხი იტკინა და შესაცვლელი შეიქნა, თუმცა მისმა შემცვლელმა ხურცილავამაც მალე გამოიჩინა თავი. ამ ლელოებს შორის იყო აბდუშელიშვილის საჯარიმო, რამაც მასპინძლებს იმედი, როგორც შემდეგ გაირკვა, ამაოდ აღუძრა. ხურცილავას ლელოს შემდეგ თამაში ისევ ორმხრივი დაძაბული შეტევებით წარიმართა, მაგრამ ლიდერს გარკვეული უპირატესობა მაინც ჰქონდა. სანახაობრივად არც თუ ისე თვალწარმტაც თამაშში ტაიმის მიწურულს კობერიძემ ლელოთი, ხოლო ტყეშელაშვილმა გარდასახვით პირველი ნახევრის ანგარიში დააფიქსირეს, მანამდე კი სალელოე მოედანზე შესულმა ჭელიძემ თანაგუნდელის საუცხოო პასი ვერ შეიფერა და ბურთი ხელიდან გაუვარდა, თორემ კიდევ ერთი ლელო და, ალბათ, გარდასახვაც (რომელსაც უნაკლოდ ასრულებდა ტყეშელაშვილი) გარდაუვალი იყო.

მეორე ტაიმში ანგარიში კარგა ხანს არ შეცვლილა. მერე კი რაც მოხდა, ზემოთ უკვე გიამბეთ. სტუმრებმა ერთიმეორეზე უკეთესი ოთხი ლელო გაიტანეს, ზოგი ძალისმიერი შერკინებით, ზოგიც ლამაზად გაშლილი მარაოთი. თანაგუნდელები არც დამრტყმელმა ტყეშელაშვილმა დაალალატა და შვიდივე ლელო უნაკლოდ გარდასახა. დინამოელმა აბდუშელიშვილმა კი თავის მონაგარს ერთი საჯარიმო დარტყმა შემატა, რაც თამაშის შედეგს ვერანაირად შეცვლიდა.

**ირაკლი თავაძე**

# ექსპრესმა არმიას ჩაუქროლა

**ექსპრესი 22:14 ასკ**

ექსპრესი: 4 ლ — სარიშვილი (2), მაჭუტაძე, რეხვიაშვილი; 1 გ — კვინიხიძე

ასკ: 1 ლ — იაშვილი; 3 ს — აბუსერიძე

ჩანს, წამყვან მოთამაშეთა ნაკრებთან ერთად საფრანგეთს გამგზავრებამ არმიელები საგრძნობლად დაასუსტა, რადგან იოვაძის და შველიძის არყოფნაში გუნდი ჩვეულად ველარ თამაშობს. ჯერ იყო და არმიელები „დათვებთან“ დამარცხდნენ, გუშინ კი ზედიზედ მეორედ წააგეს და პლეი ოფში, ალბათ, „ყოჩებს“ დაუპირისპირდებიან, რადგან დარჩენილი ოთხი მატჩიდან ორს არმიელები ჩემპიონთან და ბათუმელებთან გამართავენ.

„ექსპრესს“ რაც შეეხება, მთავარი პრობლემა — პლეი ოფში „ყოჩებს“ არ შეხვედროდა, კლუბმა დადებითად გადაწყვიტა. ახლა მათი საწუხარი ნახევარფინალის საკუთარ მოედანზე ჩატარება-არჩატარებაა. საამისოდ კი ბენდიაშვილის შეგირდებს ბათუმელ „დათვებთან“ მოუწევთ ჭიდილი, რომელმაც გუშინ მუქთი ორი ქულა მიითვალა, რაკი „გუმარი“ თამაშზე არ გამოცხადდა. ასე გადაჭრით იმიტომ ვამბობთ, ნახევარფინალში „ყოჩებთან“ შეხვედრა აიცილაო, რომ გუშინდელი მოგებით „ექსპრესმა“ არმიელებთან სხვაობა ოთხ ქულამდე გაზარდა და დარჩენილ ოთხ ტურში არა გვგონია, უპირატესობა ქარს გაატანოს, მით უმეტეს, რომ გუნდი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე ადგილისთვის იბრძვის. არმიელებმა კი ამ მარცხით, ვფიქრობთ, სანუკვარ ადგილზე გადანაცვლების ბოლო შანსი გაუშვეს ხელიდან.

ერთი სიტყვით, გუშინ უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩი იყო და მეტოქეებიც საგულდაგულოდ მოემზადნენ ამ დაპირისპირებისათვის. სანახაობრივად შეხვედრა ვერ გამოვიდა ისეთი, როგორსაც გულშემატკივრები ელოდნენ, ამის მიზეზი, ალბათ, რჩეულ მობურთალთა არყოფნა იყო და ის დაძაბულობაც, რომელიც მატჩს თან სდევდა.

პირველივე წუთებმა ცხადყო, რომ საინტერესო ბრძოლის მოწმენი შევიქნებოდით. პირველი შეტევა არმიელებმა განახორციელეს, მაგრამ უშედეგოდ. მეტოქემ კი პირიქით — პირველივე შეტევა მე-3 წუთზე კვინიხიძის ლელოთი დაგვირგვინდა, თუმცა მანამდე მსაჯმა წესების დარღვევა დააფიქსირა და ლელოც არ ჩათვალა. ამის მერე თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. გუნდები ვერაფრით ახერხებდნენ, მეტოქის ჩათვლის მოედნისთვის მიეღწიათ. გარდატეხა მატჩში ტაიმის შუაწელისთვის მოხდა. მასპინძელთა ხანგრძლივი შეტევა სარიშვილის ლელოთი დასრულდა. კვინიხიძემაც ზუსტად გარდასახა — 7:0. გაშვებულმა ლელომ, ეტყობა, გატეხა არმიელები, თორემ სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ამის შემდეგ მასპინძლები მოედნის სრულ ბატონ-პატრონად მოგვევლინენ, რაც საბოლოოდ სამ გატანილ ლელოში გამოიხატა.

მეორე ლელო ექსპრესელებმა ხუთ წუთში გაიტანეს — იმავე სარიშვილმა იმარჯვა. კვინიხიძემ ამჯერად ზუსტად ვერ გარდასახა. სტუმრებმა შედეგიანად მხოლოდ 25-ე წუთზე შეუტიეს — მასპინძლებმა წესების დარღვევით შეაჩერეს მეტოქე და აბუსერიძემაც ზუსტად შეასრულა საჯარიმო.

შეხვედრა ამის მერეც „ექსპრესის“ უპირატესობით გაგრძელდა, მასპინძლები აუტებშიც სჯაბნიდნენ მეტოქეს. ტაიმის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი მაჭუტაძემ მესამე ლელოც გაიტანა. არმიელებს შესვენებამდე ანგარიშის შემცირების შანსი მიეცათ, მაგრამ ამაოდ. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა — 17:3.

მეორე ნახევარში არმიელების გააქტიურებას 47-ე წუთზე აბუსერიძის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმო მოჰყვა. საერთოდ „ექსპრესს“ აგერ უკვე რამდენიმე მატჩია, მეორე ტაიმში პატარა ჩავარდნები აქვს და მეტოქენიც სწორედ ამ ხნის განმავლობაში ცდილობენ სასურველი შედეგის მიღწევას. ოთხ წუთში აბუსერიძემ კიდევ უფრო შეამცირა ანგარიშში სხვაობა. შემდგომ ხუთ წუთში ანალოგიური შესაძლებლობა მას კიდევ ორჯერ მიეცა, მაგრამ ორჯერვე ხელი მოეცარა. ამის შემდეგ კი იკადრეს მასპინძლებმა გამოცოცხლება. კვინიხიძემ ორჯერ არაზუსტად შეასრულა საჯარიმო, მაგრამ ექსპრესელთა ძალისხმევამ მაინც გამოიღო შედეგი — შეხვედრის დამთავრებამდე თორმეტი წუთით ადრე რეხვიაშვილმა მეოთხე ლელო გაიტანა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. დარჩენილ დროში იაშვილის ლელოთი არმიელებმა კი შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთების საშუალება მეტოქემ არ მისცა და ექვსეულის პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის შური იძია.

**ბაათა თოთაძე**



„ექსპრესი“ აუტებშიც ყოჩაღობდა

| სატურნირო ვითარება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 20 | 19 | 1 | 0 | 864:201 | 123:18 | 39 |
| დათვები | 20 | 13 | 1 | 6 | 520:187 | 72:19 | 27 |
| ექსპრესი | 20 | 13 | 0 | 7 | 585:262 | 87:30 | 26 |
| ასკ | 20 | 11 | 0 | 9 | 423:353 | 61:50 | 22 |
| გუმარი | 20 | 10 | 0 | 10 | 403:302 | 59:41 | 19 |
| დინამო | 20 | 3 | 0 | 17 | 111:821 | 7:128 | 6 |

**შემდეგი ტური 26.10**

ყოჩები — დათვები

გუმარი — ასკ

დინამო — ექსპრესი

# ორი მეოთხედფინალისტი ვიცით

რაგბიში ევროპის თასის გათამაშების მეოთხე ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა ფრანგულმა „ბეგლ-ბორდომ“, ფრანგულმა „ტულუზმა“ კი ასევე პირველად დატოვა მოედანი დამარცხებულმა.

A ჯგუფში „სტად ფრანსემ“ კვლავ იმარჯვა. ამჯერად მან „ლენსტერი“ იმსხვერპლა. ფრანგებმა მოგება უკვე პირველი ორმოცი წუთის შემდეგ დაიბევეს 42:8. მეორე ნახევარი კი მათთვის უფრო მძიმე გამოდგა. თუმცა დღეისთვის არც ერთ გუნდს არ უჩანს ისეთი პირი, პარიზულ არმადას წინააღმდეგობა გაუწიოს, საინტერესოა, თუ შეძლებს ვინმე მათ შეჩერებას. ამ ჯგუფის მეორე ფრანგულმა კლუბმა კი, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და უელსურ „ლიანელის“ საკმაოდ იოლად აჯობა, თუმცა პირველი ტაიმის მერე მხოლოდ ოთხ ქულას იგებდა (7:3). ჟირონდელებს მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვთ, ამისთვის კი მათ დარჩენილი ორივე შეხვედრა უნდა მოიგონ, მათ შორის ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერთანაც, რაც შეუძლებელი არა, მაგრამ ძალიან ძნელი კი ნამდვილად გახლავთ.

B ჯგუფში „პერპინიანმა“ გაჭირვებით სძლია „პადოვას“. პირველი ნახევარი 11:3 დამთავრდა, მეორეში კი მეტოქეებმა თითო საჯარიმოს გატანაღა მოახერხეს. ამ გამარჯვებით ფრანგებმა მეოთხედფინალის საგზური თეორიულადაც მოიპოვეს, მეორე ადგილისკენ კი დიდი ნაბიჯი გადადგა „მანსტერმა“, ვინაც „ნითთან“ გასვლაზე ქულის აღება მოახერხა და იტალიელებს უკვე სამი ქულით უსწრებს.

ტურის ყველაზე დიდი სენსაცია C ჯგუფში დაფიქსირდა, სადაც „ოლსტერმა“ „ტულუზს“ უმასპინძლა და მეტად დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა. ეს ტულუზელთა პირველი მარცხია ამ სეზონში. ფრანგების ფეხის დაცურებამ მეოთხედფინალების საგზურებისთვის ბრძოლა საკმაოდ დაძაბა, რადგან „ედინბურგი“ და „ოლსტერი“ ლიდერს ერთი ქულითღა ჩამორჩებიან, თუმცა ფავორიტად მაინც „ტულუზი“ რჩება, ვინაც ჯერ შინ იღებს შოტლანდიელებს, შემდეგ კი ჯგუფის აუტსაიდერ „ებ ვეილს“ სტუმრობს. „ედინბურგი“ კი ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში ირლანდიელებს შინ დაუპირისპირდება, რაც მის შანსებს შემდეგ წრეში გასვლაზე საგრძნობლად ზრდის.

დაბოლოს, D ჯგუფში „კოლომიემ“ პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის ჯავრი იყარა უელსელებზე, რითაც თეორიულად ვერა, მაგრამ პრაქტიკულად კი გაინაღდა პირველი ადგილი. მეორე ადგილისთვის ბრძოლა კი ამ ჯგუფშიც მეტად გამწვავდა, რადგან იტალიურმა „ტრევიზომ“ მოულოდნელი მარცხი იწვნია გლაზგოში. იტალიელებს ერთი მატჩიღა დარჩათ სტუმრად სათამაშო „კოლომიესთან“, მეორეში კი თავიანთ ძირითად კონკურენტს „პონტიპრიდს“ უმასპინძლებენ და რადგან ბურთების შეფარდება უელსელებზე უკეთესი აქვთ, მეორე მეოთხედფინალური საგზურისთვის ბრძოლაშიც ფავორიტებად ისინი ითვლებიან.

შემდეგი, V ტური ორი კვირის მერე გაიმართება.

**გაიოზ თალაკვაძე**

**ევროთასი. IV ტური**

A ჯგუფი

ბეგლ-ბორდო 48:10 ლიანელი

სტად ფრანსე 56:31 ლენსტერი

B ჯგუფი

პადოვა 6:14 პერპინიანი

ნითი 18:18 მანსტერი

C ჯგუფი

ებ ვეილი 16:43 ედინბურგი

ოლსტერი 29:24 ტულუზი

D ჯგუფი

კოლომიე 35:21 პონტიპრიდი

გლაზგო 40:27 ტრევიზო

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტად ფრანსე | 4 | 4 | 0 | 0 | 172:79 | 8 |
| ლენსტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 90:114 | 4 |
| ბეგლ-ბორდო | 4 | 1 | 0 | 3 | 89:80 | 2 |
| ლიანელი | 4 | 1 | 0 | 3 | 62:140 | 2 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| პერპინიანი | 4 | 4 | 0 | 0 | 173:71 | 8 |
| მანსტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 96:82 | 5 |
| პადოვა | 4 | 1 | 0 | 3 | 55:118 | 2 |
| ნითი | 4 | 0 | 1 | 3 | 78:131 | 1 |
| **C ჯგუფი** | | | | | | |
| ტულუზი | 4 | 3 | 0 | 1 | 200:73 | 6 |
| ედინბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 147:100 | 5 |
| ოლსტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 131:129 | 5 |
| ებ ვეილი | 4 | 0 | 0 | 4 | 77:253 | 0 |
| **D ჯგუფი** | | | | | | |
| კოლომიე | 4 | 3 | 0 | 1 | 118:87 | 6 |
| ტრევიზო | 4 | 2 | 0 | 2 | 102:90 | 4 |
| პონტიპრიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 106:107 | 4 |
| გლაზგო | 4 | 1 | 0 | 3 | 94:136 | 2 |

ბადრი ქეთევანიშვილის ფოტო



საით არმიელებო?!

# შილბლო დებიუტი

19 ოქტომბერი

**ტორონტო — ნეშვილი 2:2**

1:0 1:2 0:0 0:0

1:0 ბერეზინი 14'25 (3); 1:1 ბრიუნეტი 25'48 (2); 1:2 კრივოკრასოვი 32'30 (1); 2:2 მოდინი 33'51 (1)

სულ რაღაც ოთხი დღის წინ რეინჯე-რსიდან მეტიუ შნეიდერის ნაცვლად ტო-რონტოში გადასული ალექსანდრ კარპო-ვცევი პირველ მატჩში ნეშვილს უფრო წაადგა, ვიდრე თავის ახალ კლუბს. ჯერ იყო და რუსმა წესი დაარღვია და სტუმ-რებმაც უმალ გამოიყენეს რიცხვმრავლო-ბა, მერე კი მცველმა თავისი ფლანგი უმე-თვალყუროდ დატოვა და კრივოკრასოვი (+1) — ბრიუნეტის (1+1) წყვილმა სწრაფი გარღვევის შემდეგ სტუმრები დააწინაუ-რა. მანამდე კი კარპოვცევმა ახალ გუ-ნდში ჩატარებულ პირველივე ვარჯიშზე მუხლი იტკინა და ორი შეხვედრა გამო-ტოვა. მართალია, ამ მატჩში მასპინძლებმა გაათანაბრეს და კიდევ რამდენიმე ხელსა-ყრელი მომენტიც გაუშვეს ხელიდან, მა-გრამ ლიგის დებიუტანტმა ხელწამოსაკ-რავი გუნდის შთაბეჭდილება არ დატო-ვა. ყოველ შემთხვევაში, ბერი ტროტცის შეგირდებმა გაითვითცნობიერეს, რომ მხო-ლოდ მკაცრი დისციპლინა და გუნდური თამაში მოუტანს მათ შედეგს და უხეშ შეცდომებს თავს არიდებენ, კარში კი სა-უცხოოდ ირჯება მაიკ დანჰემი.

**ფინიქსი — ბოსტონი 3:1**

1:0 2:1 0:0

1:0 ტკაჩუკი 3'57 (1); 2:0 რონინგი 20'30 (1); 2:1 ფერარო 24'31 (2); 3:1 დრეიკი 30'29 (1)

ჩემპიონატის პირველი დღეების ერთ-ერთი გმირი, ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფო აშკარად არ იყო ჩვეულ ფორმაში, რაკი რონინგის მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული შაიბა ვერ მოიგერია. ფინი-ქსელი რენიკის ანგარიშზე 2 პასია.

**მონრეალი - ჩიკაგო 1:2**

0:1 0:0 1:1

0:1 კლირი 5'01 (1); 1:1 დამფუსი 43'45 (4); 1:2 დაზე 56'11 (2)

მონრეალს ისევ შარშანდელი სენი — შინ უსუსური თამაში — შეეყარა. სამი დღის განმავლობაში კანადელები მეო-რედ დამარცხდნენ საკუთარ მოედანზე, თუმცა მათი გამართლება იმით შეიძლე-ბა, რომ დიდი დანაკლისი ჰქონდათ: ორი მეამბოხე ფორვარდის — რუჩინსკისა და სავაჟის არყოფნას სამი ჰოკეისტის ტრა-ვმა და ტრენერ სტივენსონის დისკვა-ლიფიკაცია დაემატა. ჩიკაგოელთა ორი-ვე გოლი ალექსეი ჟამნოვის (2 პასი) სამეულმა მიითვალა, 19 წლის ნიჭიერმა დანიელ კლირიმ კი ლიგაში პირველად გაიტანა.





მონრეალელ სერგეი ჟოლტოკს ჩიკაგოელთა მეკარემ არ გაატანინა

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 5 | 3 | 1 | 1 | 15:12 | 7 |
| ბოსტონი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:8 | 7 |
| ოტავა | 3 | 3 | 0 | 0 | 11:5 | 6 |
| ბუფალო | 4 | 2 | 1 | 1 | 10:9 | 5 |
| მონრეალი | 5 | 2 | 1 | 2 | 14:9 | 5 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 6 |
| ჩიკაგო | 5 | 3 | 0 | 2 | 12:13 | 6 |
| ნეშვილი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 3 |
| სენტ ლუისი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:10 | 3 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 4 | 3 | 1 | 0 | 17:11 | 7 |
| პიტსბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:7 | 5 |
| აილენდერსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 4 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 2 |
| რეინჯერსი | 5 | 0 | 1 | 4 | 7:17 | 1 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:7 | 4 |
| ედმონტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 11:8 | 4 |
| კალგარი | 4 | 1 | 1 | 2 | 11:15 | 3 |
| კოლორადო | 5 | 0 | 1 | 4 | 10:20 | 1 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 4 | 2 | 1 | 1 | 12:8 | 5 |
| ლოს ანჯელესი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:11 | 5 |
| ფინიქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:7 | 4 |
| ანაჰაიმი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:9 | 2 |
| სან ხოსე | 3 | 0 | 1 | 2 | 6:11 | 1 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ფლორიდა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 5 |
| ვაშინგტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 5 |
| კაროლინა | 4 | 0 | 3 | 1 | 9:10 | 3 |
| ტამპა | 5 | 0 | 1 | 4 | 8:19 | 1 |

**როცა სახელოვან კოლორადოელ მეკარე პატრიკ რუას ჰკითხეს, წლევანდელ სეზონს რითი გამოარჩევდიო, ჰოკეისტმა უმალ უპასუხა, ლიგის მესვეურების მეკარეთა წინააღმდეგ დაწყებული ომითო, შემდეგ კი ირონიულად დასძინა, მალე სამეკარეო ყვანჯსაც ჩამოგვართმევენ და ჩვეულებრივს დაგვაჭერინებენო. იქნებ ვინმეს ეს გადაჭარბებულად ეჩვენოს, მაგრამ არის ამ სიტყვებში სიმართლე**

# მეკარეები შეავიწროვეს

როგორც ვიცით, წლეულს ნჰლ-ის ხე-ლმძღვანელებმა თამაშის სანახაობრივი ხარის გაუმჯობესებისა და შედეგიანო-ბის გაზრდის მიზნით მთელი რიგი ცვ-ლილებები მოახდინეს და თუ ამ სიახლე-ებს მეკარეთა თვალთახედვით შევაფასებთ, ასეთ სურათს მივიღებთ: გაიზარდა მანძი-ლი კარსა და ბორტებს შორის და გრე-ცკის ტიპის მოთამაშეებს მეტი თავისუფ-ლება მიეცათ, კარიდან ხშირად გამოსვლას ჩვეულ გოლკიპერებს კი გაუჭირდათ ბორტებამდე მიღწევა. ამ სეზონში არაე-რთხელ გავხდით იმის მოწმენი, რომ მე-კარეებმა ვერ მიუსწრეს რეაქტიული სი-სწრაფით მოძრავ ფორვარდებს და მათ ცარიელი კარი დალაშქრეს. შემცირდა მე-კარის მოედანი. ეს, ერთი მხრივ, კარგია. ამან მკვეთრად იმატა გაუქმებული გო-ლების რაოდენობამ, რადგან შემტევი გუ-ნდის მოთამაშე გატანის მომენტში კარის ფართობში იმყოფებოდა, მაგრამ მეკარეე-ბმა რა დააშავეს? ახლა ხომ მათ საგრძ-ნობლად შეუმცირდათ სამოქმედო სივრცე. ფორვარდებმა გოლკიპერები ძალიან შეა-ვიწროვეს. თუ ამას კარის დარაჯების აღკაზმულობის გარკვეული დეტალების შემცირებასაც დავუმატებთ, დავრწმუნდე-ბით, რომ რუას სიტყვები სიმართლე მოკლებული სულაც არ არის.

მიუხედავად ლიგის მესვეურთა მცდე-ლობისა, ამ ცვლილებებმა სრულიადაც არ გამოიწვია შედეგიანობის ზრდა — შარშანდელი 5,28 გოლიდან ერთ თამა-შში შეგდებული შაიბების რაოდენობა წლეულს 4,75-მდე შემცირდა, ხოლო ბო-სტონის გოლკიპერებმა 5 შეხვედრაში უკვე 3 შათაუტი მიითვალეს. რატომ ხდე-ბა ასე?

გამოცდილი სპეციალისტებისთვისაც კი ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. იქნებ ამის მიზეზი ლიგის გუნდების ოდენობით მკ-ვეთრი ზრდაც იყოს, რის გამოც ბევრ მათგანს მაღალი კლასის მოთამაშეები სა-ერთოდ არ გააჩნია. ამის მაგალითად თუ-ნდაც ნეშვილი გამოდგებოდა. კლუბი ეგრეთ წოდებულ გაფართოების დრაფტზე საშუალო დონის მოთამაშეებით დაკომპ-ლექტდა, ამიტომაც სათამაშო სტრატეგი-ას საიმედო დაცვაზე ამყარებს. ამ მხრივ ნეშვილი გამონაკლისი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას ნიუ ჯერსიზე, დალა-სზე, ფლორიდაზე და სხვა გუნდებზე. ახლა ამგვარი ტენდენცია ბატონობს — მთავა-რია, გოლი არ გაუშვა, გატანა მეორეხა-რისხოვანია. ასე რომ, რუასი არ იყოს, იქნებ ჩამოვართვათ მეკარეებს თავიანთი უმთავრესი იარაღი?



ოუენ ნოლანი

# ფრიზენმა და ნოლანმა გაფიცვა დაასრულეს

სან ხოსეს ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. კლუბის ორმა წამყვანმა ფორვარდმა — ოუენ ნოლანმა და ჯეფ ფრიზენმა დაასრულა გაფიცვა და კვირას პირველად გავიდა ყინულზე. მართალია, „ზვიგენებს" ბოსტონთან შეხვედრაში მაინც მოეცარათ ხელი, მაგრამ მათ ლიდერებს თავის გამოსაჩენად დრო საკმაოდ აქვთ — 22 წლის ფრიზენმა (63 (31+32) ქულით კლუბის საუკეთესო ბომბარდირი იყო ბოლო სეზონში) სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, ხოლო 26 წლის ნოლანი, მიუხედავად არცთუ ხეირიანად ჩატარებული შარშანდელი სეზონისა, კიდევ ორი წლის განმავლობაში დაიცავს სანხოსელთა ღირსებას. კლუბის გენერალურმა მენეჯე-რმა დინ ლომბარდიმ განაცხადა, რომ ძალიან მოხარულია წამყვანი მოთამაშეების დაბრუნებით, თანაც დასძინა, ესენი ადრე რომ შეგვერიგებინა, სეზონისთვის უკეთ მოვემზადებოდითო.

## აილენდერსის გასაჭირი

80-იან წლებში ლიგის გრანდად მიჩნე-ული აილენდერსი ჩიხში მოექცა. პლეი ოფში გასვლა მისთვის უკვე მიუწვდო-მელ ოცნებად იქცა, რასაც „ნასაუ კოლი-ზეუმის", ნიუიორკელთა არენის მფლობე-ლებთან (ეგრეთ წოდებული SMG კომპა-ნია) გახმაურებული კონფლიქტის გამო შე-ქმნილი ვითარებაც ემატება. მას შემდეგ, რაც სასამართლომ SMG-ს დაუჭირა მხა-რი, შეწყდა ახალი სტადიონის მშენებლო-ბა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბი ტელევიზიო ტრანსლაციების უფლება-საც დაკარგავდა. ასე რომ, ნიუიორკელებს, რომლებმაც ბოლო ორ სეზონში ოთხი მენატრონე გამოიცვალეს, კვლავ გაყიდვის საფრთხე ემუქრებათ. ვარაუდობენ, რომ თუ კლუბმა ჩემპიონატი ცუდად დაიწყო, ფი-ნანსური კრიზისის დასაძლევად წამყვანი მოთამაშეების გაყიდვა მოუწევს. ერთ-ერთი მათგანი, ფორვარდი ტომ ჩორსკი უკვე გადაბარგდა ვაშინგტონში. ახლა, როგორც ამბობენ, „კუნძულელების" მთავარი სნაი-პერის, სლოვაკი ზიგმუნდ პალფის ჯერია, რადგან იგი კლუბისგან ფანტასტიკურ თა-ნხას — 8 მილიონ დოლარს მოითხოვს. ფინანსური პრობლემები იმდენად მძიმეა, რომ სეზონის გახსნასთან დაკავშირებით კლუბს არავითარი ცერემონიალი არ გაუ-მართავს. გაუქმდა პირველი სამი მატჩის ტრანსლაციაც.

ერთ-ერთმა აილენდერსელმა ამიტომაც განაცხადა (მან ანონიმურობა მოისურვა): „ყინულზე გასვლა აღარანაირ სიამოვნე-ბას არ გვანიჭებს, ხოლო გუნდი, რო-გორც ერთიანი ორგანიზმი, აღარ არსე-ბობს. არის მენეჯმენტი, არიან მოთამაშე-ები, მწვრთნელები — არ არის ერთია-ნობა." ფორვარდმა ბრაინ სმოლინსკიმ კი მადლობა გადაუხადა გულშემატკივრებს ოპტიმიზმისთვის.

### ახალი კონტრაქტი უეიტისთვის

მართალია, ედმონტონელმა დუგ უეი-ტმა თანაკლუბელთა შორის ყველაზე მე-ტი შეუპოვრობა გამოიჩინა ხელმძღვანე-ლობასთან მორიგების დროს, მაგრამ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ფორვარდი „ოილერსში" დარჩებოდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ხომ იგი კლუ-ბის საუკეთესო ბომბარდირი იყო და ერთგვარად მის სავიზიტო ბარათად იქცა. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ბო-ლოს თავისუფალმა აგენტმა და მისმა კლუბმა შეთანხმებას მიაღწიეს. უეიტი კიდევ ორ წელს გაატარებს „მენავთობე-ებთან". ნუ დავივიწყებთ, რომ თავის დროზე უეიტი რეინჯერსიდან ედმონტო-ნში თვით ესა ტიკანენში გაცვალეს და თავისი 448 (128%320) ქულიდან უმეტე-სი ნაწილი ფორვარდმა სწორედ „მენავ-თობეთა" რიგებში დააგროვა.

# იაპონიის ნაცვლად ევროპაში

ნჰლ-ის ხელმძღვანელობამ გულდასმით გააანალიზა სან ხოსესა და კალგარის იაპონური ვოიაჟის ყველა დეტალი — დროში დიდი განსხვავება, ყინულის მდ-გომარეობა, მაყურებელთა დასწრება, მო-გზაურობის ხარჯები და... საგაისოდ ამგვარ აქციაზე უარი განაცხადა. ჯერ ერთი, 10-ათასიანი „ოიგი არენა" ბოლო-მდე არ ივსებოდა, ის კი არა, მეორე მატჩზე ტრიბუნებზე მსხდომთა რაოდე-ნობამ 8400-დან 7100-მდე იკლო. ეს მა-შინ, როცა შარშან, ანაჰაიმისა და ვანკუ-ვერის ტურნეს დროს, ტრიბუნებზე ერთ თავისუფალ ადგილსაც ვერ მოძებნიდით. გარდა ამისა, ჰოკეისტები გამუდმებით ჩიოდნენ ხანგრძლივ გადაფრენებზე, საა-კლიმატიზაციო პრობლემებსა თუ ყინუ-ლის დაბალ ხარისხზე. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ნჰლ-ის მესვეურე-ბმა გაისად იაპონიაში ჩასვლა აღარ ისუ-რვეს და მთელი ყურადღება ევროპას მი-აპყრეს. ლიგის ვიცე-პრეზიდენტის სტივ სოლომონის თქმით, 1999-2000 წლების სეზონში ნჰლ ბებერ კონტინენტზე საგა-მოფენო მატჩებს ჩაატარებს. უფრო შო-რეულ გეგმებზე კი, კერძოდ, ევროპაში ნჰლ-ის კლუბების შექმნაზე, ჯერჯერო-ბით საუბარი არ არის.

რაც შეეხება იაპონიას, ლიგას მასზე საბოლოოდ არ უთქვამს უარი და არ არის გამორიცხული 2000 წელს კვლავ გამართოს ტოკიოში ერთი-ორი თამაში. ამას სოლომონის სიტყვებიც ადასტურებს: „ეს ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკაა. იაპონელებმა ახლა კარგად უწყიან, რას წარმოადგენს ჩვენი ლიგა, არც ვარსკვ-ლავებისა და ნაკლებად ცნობილი ჰოკეი-სტების ერთმანეთისგან გარჩევა უჭირთ".

# ვაშინგტონმა პრობლემები მოაგვარა

ტრავმებმა, საკონტრაქტო პრობლემებმა და მწვრთნელ-მოთამაშეთა კონფლიქტე-ბმა ვაშინგტონს ჩემპიონატის სტარტზე უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზო-ბის საშუალება არ მისცა. საქმე იქა-მდეც კი მივიდა, რომ ფორვარდების — პივონკას, კონოვალჩუკის, ბულისისა და ბერუბის არყოფნის გამო მცველ კენ კლის თავდასხმაში მოუხდა თამაში. „კე-პიტალსის" ხელმძღვანელებმა ყველაფე-რი იღონეს მდგომარეობის გამოსასწო-რებლად და ეს მოახერხეს კიდეც. ჯერ იყო და, დედაქალაქელებმა აილენდერ-სისგან ფორვარდი ტომ ჩორსკი შეიძი-ნეს. ეს ჰოკეისტი, რომელიც კარიერაში 114 გოლსა და 115 პასს ითვლის, გუნდს მეტად წაადგება, რადგან ყოველთვის ზუ-სტად ასრულებს მწვრთნელთა დავალე-ბებს. რაც შეეხება ჩხუბისთავ კრის სა-იმონს, ვაშინგტონის თავკაცმა რონ უი-ლსონმა, რომელსაც ამ მოთამაშემ დეტ-როიტთან შეხვედრის დროს უპატივცე-მულოდ შეპასუხება ჰკადრა, აპატია მას ეს საქციელი და მხოლოდ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა. მერე კლუ-ბის თავკაცებმა სერგეი გონჩარიც შე-მოირიგეს. რუსი მცველი, რომელიც ზე-დიზედ მეორე სეზონს იწყებს ამბოხით, ორი წლის განმავლობაში 3,3 მილიონ დოლარს მიიღებს. იგი ვაშინგტონის რი-ცხვმრავლობათა ბრიგადებში ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობს, გარდა ამი-სა, ბოლო პლეი ოფში შვიდი შაიბაც შეაგდო. თუ ამათ ჩიკაგოდან გადაყვა-ნილ ჯეიმს ბლექსაც დავუმატებთ, შეი-ძლება ითქვას, რომ გუნდმა წარმატებით გადაჭრა საკადრო პრობლემები, მიუხე-დავად იმისა, რომ კიდევ ერთი რუსი, ფორვარდი ანდრეი ნიკოლიშინი ჯერ-ჯერობით აგრძელებს გაფიცვას.

# ბოუმენი დაბრუნდა!



ამ მოვლენას დეტროიტის გულშემატ-კივრები დიდხანს ელოდნენ. 65 წლის სა-ხელოვანი მწვრთნელი, ლიგის ისტორია-ში ყველაზე ტიტულოვანი და წარმატე-ბული სკოტი ბოუმენი თასის მფლობელ გუნდს უბრუნდება და მეცხრედ შეეცდება სტენლის თასის მოგებას.

ორშაბათს მან ბოლო ტესტი გაიარა, რომელმაც დაადასტურა, რომ „წითელფ-რთიანთა" თავკაცი სრულიად ჯანმრთე-ლია. გამოცდილ მწვრთნელს, ეტყობა, ისე მოსწყურდა მუშაობა, რომ ხვალვე აპი-რებს ვარჯიშის განახლებას. პარასკევს ბოუმენი სეზონში პირველად გაუძღვება თავის შეგირდებს, რამაც ჰოკეისტები ერთობ გაახარა. ამის გამგონე ბრენდან შენაჰანმა შესძახა, სკოტი ჩვენი ბოლო ორი წლის წარმატებების სულისჩემდგ-მელია და ახლა გაგრძელებას ველითო.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიდი, მაიკ, მიდი!

ალსრულდა ის, რასაც მსოფლიოს კრივის მოყვარულები და უძლები შვილის ცელქობით ასე დაზარალებული სპორტის უძლები მამები მოუთმენლად ელოდნენ — ორშაბათს მსოფლიოს ყოფილმა მძიმეწონოსანმა ჩემპიონმა მაიკ ტაისონმა კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა — დიდი სპორტიდან ლამის სამუდამოდ მოკვეთილმა რინგზე კრივობის უფლება დაიბრუნა.

ნევადის შტატის ათლეტთა კომისიამ რკინის მაიკს 15 თვის წინ წართმეული საკრივო ლიცენზია დაუბრუნა. ეს სასჯელი და 3 მილიონ დოლარიანი ჯარიმა ტაისონს ევანდერ ჰოლიფილდის ყურზე კბენისთვის ერგო. ერთ დროს პლანეტის ყველაზე ცნობილი სპორტსმენის საქციელმა მაშინ მთელი მსოფლიო აალაპარაკა და ხალხის გულწრფელი აღშფოთებაც გამოიწვია, რაკილა მაიკი სანიმუშო ყოფაქცევით არც მანამდე გამოირჩეოდა — გაუპატიურების ბრალდების გამო მას სამი წელი ციხეშიც ჰქონდა გატარებული.

ბევრი ტაისონის გისოსებს მიღმა გამომწყვდევას თუ არა, კრივიდან საბოლოოდ მოკვეთას მაინც მოითხოვდა და ათლეტთა კომისიის შარშანდელ გადაწყვეტილებას დიდი მოწონებითაც შეხვდა, მაგრამ ორშაბათს სამსაათიანი განხილვის დროს ყოფილმა ჩემპიონმა კომისიის წევრების გულების მოლბობა მაინც მოახერხა.

„ჩემი ცხოვრება ტანჯვად იქცა ამ გამოცდის გამო... თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორია ჩემს ადგილზე ყოფნა" — შესჩივლა კომისიას მაიკმა, რომელიც რინგზე ასპარეზობის უფლების დასაბრუნებლად ფსიქოთერაპიის კურსს გადის — მე თავიც შევირცხვინე, ჩემი ოჯახიც და კრივიც, მაგრამ გპირდებით, რომ მსგავს რამეს აღარასოდეს ჩავიდენ. სულაც არ მსურდა, ვინმესთვის ტკივილი მიმეყენებინა და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროფესია სწორედ ამას ითვალისწინებს, არც მომავალში ვაპირებ ამას. არ მინდა, რომ ისევ დამცირებულად ვიგრძნო თავი".

ტაისონის თქმით, მან მოთმინება ჰოლიფილდის მიერ თავით მიყენებული დარტყმის გამო დაკარგა და ქუჩურ ბრძოლაზეც ამიტომ გადაერთო. კომისიის ყველაზე აბეზარ წევრს ჯეიმს ნეივს მან ასე მიუგო: „ამჟამად ცუდი არაფერი მჭირს და ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც მოხდა. გთხოვთ, ნულარ მაწვალებთ, სერ".

ნეივზე ალსარებას მაინც არ უმოქმედია — მან ლიცენზიის წართმევა ძალაში დატოვა, სამაგიეროდ, ტაისონს კომისიის სხვა ოთხი წევრი მიემხრო და ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. გადაწყვეტილების გამოცხადებამდე კომისიის თავმჯდომარემ ელიას განემმა მაიკი გააფრთხილა, ამ ბოლო შანსს კი გაძლევთ, მაგრამ იგი მართლაც უკანასკნელი იქნებაო.

ყველასათვის მოულოდნელად, ტაისონის ადვოკატმა ჯიმ ჯიმერსონმა თავისი კლიენტის დასაცავად ამერიკული სპორტის ორ ლეგენდას, კალათბურთელ ირვინ „მეჯიკ" ჯონსონსა და ყველა დროის უდიდეს მოკრივედ აღიარებულ მუჰამედ ალის უხმო.



REUTERS

ტაისონს თავდებად მუჰამედ ალი (მარცხნივ) და მეჯიკ ჯონსონი დაუდგნენ

ჯონსონმა კომისიას განუცხადა, ტაისონს მოძღვრად დავუდექი, ფინანსური საქმეების მოგვარებაში, დამხმარეთა არჩევანში და ყოველდღიურ ცხოვრებაში ვეხმარებიო. „მეჯიქმა" იმედი გამოთქვა, აწ გარდაცვლილი კუს დამატოს, მაიკის მწვრთნელის, ადგილს დავიჭერ, რომელმაც მოკრივე ნიუ იორკის ქუჩებს, დანაშაულებრივ წარსულს გაარიდა და საზოგადოებაში გამოიყვანაო. ყოფილმა ლოს ანჯელეს ლეიკერსელმა თან ისიც დაურთო, ტაისონის პრობლემების ნაწილი ფულიდან მომდინარეობსო. „მაიკმა იცის ფული, მაგრამ მას ვერ უგებს: ფინანსური პრობლემები აქვს და ახლობლებს ძვირადღირებულ საჩუქრებს უძღვნის. იგი ერთადერთია, ვისაც 100, 200 მილიონი დოლარის შოვნა შეუძლია და სულაც არ ზრუნავს ამაზე".

ალის მაგივრად, რომელიც პარკინსონითაა დაავადებული, კომისიას მისმა მეუღლე ლონიმ მიმართა, გაიღეთ მოწყალება და მას ბრძოლის უფლება დართეთ, ამას მე, მუჰამედ ალი გთხოვთო. ლეგენდარული მოკრივის თქმით, იგი ტაისონს უფროსი ძმის მაგივრობას გაუწევს და თავად იზრუნებს მის წინსვლაზე.



ლიცენზიის დაბრუნებით მაიკთან ერთად მისმა მეუღლემ მონიკამაც გაიხარა

კომისიის მოთხოვნით, განხილვას ბოსტონის „ჯენერალ ჰოსპიტალის" სამედიცინო ექსპერტებიც დაესწრნენ, რომელთაც მოკრივის ფსიქოლოგიური გამოკვლევა ჰქონდათ დავალებული. ექიმებმა დაადასტურეს, რომ ტაისონს დეპრესია და სტრესი ჭირდა. თუმცა ისიც განაცხადეს, ნაკლებ სავარაუდოა, რინგზე მსგავს „აფეთქებას" კიდევ ჰქონდეს ადგილიო.

არ დავიწყებიათ მოკრივის ბოლო „საქმენი საგმირონიც", რაკილა 19 სექტემბერს მერილენდში მომხდარი ავარიის მოწმეები ტაისონს ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ. მაიკმა ყველაფერი იუარა, ვითომდა დაზარალებულები ასაკით ჩემზე გაცილებით უფროსი ხალხია და ხელს რად გავისვრიდიო. თუმცა კომისიის გარდა იგივეს დამტკიცება მას 1 დეკემბერს სასამართლოშიც მოუწევს.

მოკლედ, მრავალმხრივი და დაწვრილებითი გამოკითხვის შემდეგ სალიცენზიო „საპნის ოპერა" ჯეროვანი „ჰეფიენდით" დასრულდა, თუმცა თავად მაიკი დიდ სპორტში დაბრუნებას თურმე სულაც არ ჩქარობს. „ამჟამად კრივით დაინტერესებული სულაც არა ვარ. უბრალოდ, შინ მივდივარ, რათა ჩემი საყვარელი ადამიანები მოვინახულო და სიხარული გავუზიარო" — განაცხადა განხილვის მერე მოკრივემ.

არადა, ხმები დადის, რომ ტაისონის მორიგი ბრძოლა უკვე დეკემბრისთვის დაგეგმილი. ასეა თუ ისე, მთავარი მაინც ის არის, რომ მორიგი იძულებითი შესვენების შემდეგ ბოლო ათწლეულის „მონსტერ კრივი" რინგს ისევ დაუბრუნდება. ტაისონი ხომ ამის გარეშე ვერ გაძლებს, ისევე, როგორც უიმისოდ ვერ გაძლებს ლასვეგასი თუ ატლანტიკსიტი, დონ კინგი თუ მილიონებს დაჩვეული ეს სისხლიანი ინდუსტრია.

**ბახა არჯევანიძე**



**ორშაბათს, ლოკაუტის 111-ე დღეს, NBA-ს მოთამაშეებმა მძიმე დარტყმა იგემეს: მოსამართლე ჯონ ფირიკმა საქმე გაარჩია და დაადგინა, რომ ლოკაუტის განმავლობაში კლუბების მფლობელებმა მოთამაშეებს ხელფასი არ უნდა გადაუხადონ. ეს იმას ნიშნავს, რომ ის 226 კალათბურთელი, ვისაც კლუბებთან გარანტირებული კონტრაქტები ჰქონდათ, 1 ივლისიდან და იქამდე, ვიდრე ლოკაუტი არ დასრულდება, უხელფასოდ დარჩა**

# სასამართლო: ლოკაუტის დროს არავითარი ხელფასი!

NBA-ს ხელმძღვანელობა გამოეხმაურა ამ გადაწყვეტილებას. აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯეფრი მიშკინმა ბრძანა: „კმაყოფილი ვართ მოსამართლის გადაწყვეტილებით. სამწუხარო კი ის არის, რომ კვლავ არ ჩანს მოთამაშეთა ასოციაციასთან მოლაპარაკების რეალური გზები. მხოლოდ მოლაპარაკებებს შეუძლია გამოგვიყვანოს შექმნილი სიტუაციიდან."

საინტერესოა, რომ NBA ცდილობდა აეცილებინა ფირიკის კანდიდატურა აღნიშნული სასამართლოსთვის. ფირიკს ადრეც გაურჩევია საკალათბურთო საქმეები და მარტო გასულ სეზონში ორჯერ გაამტყუნა NBA. ერთხელ მოთამაშე კრის დადლის მხარე დაიჭირა კონტრაქტის დეტალების განხილვისას, მეორეჯერ კი მწვრთნელის ცემისთვის „გოლდენ სტეიტისგან" შერისხული ლატარელ სპრიუელი დაიცვა.

სასამართლო სასამართლოდ, მაგრამ NBA-ს სეზონის დაწყებას ჯერ პირი არ უჩანს. ლიგამ გარკვეული წინადადებები კი შესთავაზა მოთამაშეთა ასოციაციას, მაგრამ ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბილი ჰანტერმა ამას „მასკარადი" უწოდა.

კლუბის მფლობელებს კი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ რიხით საუბრის საშუალება მიეცათ. კი, ბატონო, გავაგრძელოთ ლოკაუტი, მოთამაშეები ხელფასს ვერ მიიღებენ და ამ პრობლემის გადაჭრა პირველ რიგში მათ ინტერესებშიაო.

# ფიბა: იუგოსლავიაში თამაში შეიძლება!

ფიბა-მ ნება დართო იუგოსლავიის კლუბებს, თავიანთ ქვეყანაში გამართონ ევროთასების მატჩები. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ კალათბურთის მმართველმა ორგანომ კოსოვოს სისხლიანი ამბების გამო იუგოსლავიის ტერიტორიაზე რამდენიმე მატჩი გადადო.

ახლა ყველაფერი ძველებურად იქნება. დაგეგმილი მატჩები განრიგის მიხედვით გაიმართება, ხოლო ადრე გაუქმებულებისთვის ახალი ვადები გამოინახა.

კაცთა ევროლიგის მატჩი „ცრვენა ზვეზდა" — „მაკაბი" 29 ოქტომბერს გაიმართება, კორაჩის თასზე, 28 ოქტომბერს „ჟელეზნიკი" უმასპინძლებს „ფრიბურგს", ხოლო „ბეობანკა" — „სვიტს". ქალთა ევროლიგის გამოტოვებული მატჩი „ჰემოფარმი" — „ვუპერტალი" 29 ოქტომბერს მოეწყობა.



# ლეგენდა ფილტვებმა შეაწუხა

ლეგენდარული კეტბურთელი ჯო დიმაჯიო ფილტვების ანთების გამო გასული კვირის დასაწყისში საავადმყოფოში მოხვდა და როგორც ეტყობა, იქ კარგა ხანს დაჰყოფს.

84 წლის დიმაჯიო სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა გულის ოპერაციის შემდეგ, რომელიც თავისსავე დაარსებულ ბავშვთა საავადმყოფოში გაუკეთეს. ავადმყოფობის გამო იგი შაბათს კეტბურთის მსოფლიო სერიის გახსნასაც ვერ დაესწრო, სადაც მშობლიური „ნიუ იორკ იანკისა" და „სან დიეგო პადრეს" მატჩში პირველი ბურთი უნდა ესროლა.



სარბიელის არქივიდან

ჯო დიმაჯიო

„იგი თავს მშვენივრად გრძნობს, შეხვედრებს ტელევიზორით ადევნებს თვალს და ძალიან უხარია, რომ იანკებმა შესანიშნავი სტარტი აიღეს" — განაცხადა დიმაჯიოს ადვოკატმა მორის ენგელბერგმა. ნიუიორკელებმა სერიის პირველი ორი მატჩი მოიგეს, დიმაჯიო კი განსაკუთრებით პიტჩერ ორლანდო ერნანდესის თამაშს აღფრთოვანებია.

დიმაჯიო თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, 1951-ში წავიდა დიდი სპორტიდან, თუმცა თავისი 13-წლიანი კარიერის მანძილზე უამრავი, ახლაც მოუხსნელი რეკორდის დამყარება მოასწრო და „ნიუ იორკ იანკის" ცხრაგზის ჩემპიონობაში ლომის წილიც დაიდო.

**ბახა არჯევანიძე**



# თასი გამოჩნდა

ფრენბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი ჯილდო, რომელიც კუბაში დაიკარგა, ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი წევრის სახლში იპოვეს.

წლის დასაწყისში გამქრალი ვერცხლის თასი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონ კუბელებს მორიგ პირველობაზე უნდა სჭეროდათ, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციას დაუბრუნდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, იგი გვარიანადაა დაზიანებული და ნოემბერში ოსაკის მსოფლიოს ჩემპიონატამდე მისთვის პირვანდელი სახის დასაბრუნებლად ხელოსნებს გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდებათ.

თუ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის განცხადებას ვენდობით, პრიზი არავის მოუპარავს: „თასი, რომელიც კუბელებმა 1994 წელს ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვეს, კუბის სხვადასხვა პროვინციაში გადაჰქონდათ, რათა თითოეულ მოთამაშეს მისი მშობლიურ ქალაქში ჩვენების შესაძლებლობა ჰქონოდა. თასი ერთ-ერთ მიყრუებულ პროვინციაში აღმოჩნდა, იმ ფრენბურთელის სახლში, რომელიც ამჟამად იტალიაში თამაშობს".

მომხდარი გაუგებრობის დეტალების დაზუსტება ფედერაციის წარმომადგენლებმა არ ისურვეს, თუმცა ის კი არ დაუმალავთ, თასი საშინელ მდგომარეობაში დაგვიბრუნდაო.

**გაიოზ ბერიძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია.**

**ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე ვოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოზმირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დუვაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29